საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა წმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

შაბათი, 23 თებერვალი. 2019 წ. №39 (8705) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ჩიბათელმა გაღარია მთელი დუნია!..

განათლების მინისტრმა განსაკუთრებული პედაგოგიური გამოცდილებისა და მიღწევებისთვის გლობალური ჯილდოს ფინალისტს ლადო აფხაზავას მენტორი მასწავლებლის სტატუსი მიანიჭა. მინისტრი მას სოფელ ჩიბათში ეწვია და ამის შესახებ თავად ამცნო. მიხეილ ბატიაშვილის თქმით, ლადო აფხაზავას მიღწევა მთელი საქართველოსთვის უდიდესი გამარჯვებაა და რეფორმის განხორციელების პროცესში, სწორედ მსგავს აქტივობებზე და სააზროვნო უნარების გავითარებაზე გაკეთდება აქცენტი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის საჯარო სკოლის სამოქალაქო განათლების პედაგოგი ლადო აფხაზავა მასწავლებელთა გლობალური ჯილდოს 10 ფინალისტს შორის დაასახელეს. ფინალისტები 179 ქვეყნის 10 000 განაცხადიდან შეირჩნენ. გამარჯვებული დუბაის განათლებისა და უნარების გლობალურ ფორუმზე 2019 წლის 24 მარტს გამოვლინდება.

უსირცხვილოს თუ არ არცხვენ...

ეს უფრო მეტია, ვიდრე დანაშაული...

რამ დააფრთხო პირში წყალდაგუბებული ჩვენი პარლამენტარები?!..

3



სეპარატიზმის მხრჩოლავი ნაკვერჩხალი

პარუნ სტეფანეს მამაძაღლობანი

გუშინ მკითხველს გავაცანით ინფორმაცია „სამხრეთოსეთელი“ ოსი და მთიანყარაბაღელი ანუ „არცახელი“ სომეხი სეპარატისტების დაძმობილების თაობაზე. სომეხი ძმები ეწვივნენ ოს ძმებს, მერე ოსი ძმები ეწვევიან სომეხ ძმებს... მათი ეს ძმობა და სიყვარული იმ მიზნით არის ნასაზრდოები, რომ არცახელები ცხინვალელებს პირდებიან, მსოფლიოს მოდებული ჩვენი დიასპორების საშუალებით აღიარებებს მოგიხერხებთო. ეს იმას ჰგავს, ძაღლი შინ არ ვარგოდა, სანადიროდ გარბოდაო, ანუ კუდა ხარი თავისთვის არ იყო და სხვას ბუზებს უგერიებდაო: აღიარებების მოპოვება რომ შეძლებოდათ, თავის თავს მიხედავდნენ. მაგრამ მაინცდამაინც დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარება ხომ არ არის საქმე. მთავარია, რომ პირდებიან და ესენიც ვითომ ხალას სიმართლედ მიითვლიან დაპირებას, თან თვითონაც პირდებიან, სომხეთს ჩრდილოეთ კავკასიაში გასასვლელის გახსნაში დავეხმარებითო. სტუმრებიც ტაშს უკრავენ, თქვენი ვართ, თქვენთვის მოვკვდებით, ბოლოს და ბოლოს ნოეს კიდობნიდან ხელიხელჩაკიდებულები მოვდივართო.

იხ. 2 გვ.



შოთა ზოიძე

წერილები მაგნოლიების ქალაქიდან

6

კადიროვის გავლენები საქართველოში

8

„არის ინტერესი და არის პოტენციალიც“

მომეცი ბავშვი და მისგან გაგიზრდი

4

როგორც მონაზონს, ისე - ტერორისტს!..

„ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა დაკარგა

საკონსტიტუციო უმრავლესობა 113 დეპუტატს გულისხმობს, თუმცა საკანონმდებლო ორგანოში მმართველ გუნდს საკმარისი რაოდენობა უკვე აღარ ჰყავს. გუშინ უმრავლესობა დეპუტატმა ბექა ნაცვლიშვილმა დატოვა. მან ეს გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც მის მიერ საპენსიო რეფორმასთან დაკავშირებით ინიცირებული კანონპროექტი პარლამენტმა ჩააგდო. მანამდე კი საპარლამენტო უმრავლესობა ეკა ბესელიამ და ლევან გოგიჩაიშვილმა დატოვეს...

ვინ დაიცავს თბილისელებს აკუსტიკური ტერორისაგან?!

5

რაც საქართველოს შეუძლია ევროპას მოუტანოს, ეს არის ტოლერანტობის ტრადიცია!

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც საქართველოს შეუძლია ევროპას მოუტანოს, ეს არის ტოლერანტობის ტრადიცია, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმა ფრანგულ რადიო RTL-თან ინტერვიუში

„ჩვენი მოსახლეობის უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია. გვყავს რელიგიური უმცირესობები მუსულმანების, ებრაელების სახით. სხვათა შორის, ახლა, იმის გათვალისწინებითაც, რაც საფრანგეთში ხდება, ალბათ, უპრიანია, ვახსენო, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც საქართველოს შეუძლია ევროპას მოუტანოს, ეს არის ტოლერანტობის ტრადიცია. ებრაული რელიგიის წარმომადგენლებმა იცხოვრეს საქართველოში 26 საუკუნის განმავლობაში და ჩვენს შორის ერთი ინციდენტიც კი არ მომხდარა არასოდეს. და სხვათა შორის, ისრაელში ჩვენი დიპლომატიური შეხვედრებისას ყოველთვის გვეუბნებიან, რომ ჩვენ ვართ ერთადერთი ქვეყანა, რომელსაც ბოდიში არ აქვს მოსახდელი მათ წინაშე, იმიტომ, რომ ჩვენ შორის არაფერი მომხდარა. სხვათა შორის, ჩვენ ვაპირებთ შევიტანოთ იუნესკოში თხოვნა არამატერიალურ კულტურის ძეგლთა სიაში ქართული ტოლერანტობის შეტანის თაობაზე. ჩვენ ამით მოვდივართ ევროპაში“, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

თეა წულუკიანმა საზოგადოებას სამოქმედო გეგმა წარუდგინა

იუსტიციის მინისტრმა საზოგადოებას სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს იუსტიციის სამინისტროსთან გაერთიანების შემდეგ პენიტეციური და პრობაციის სისტემების განვითარების ინიციატივები გააცნო.

გაიმართა პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების განვითარების სტრატეგიისა და 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმის პრეზენტაცია. აღნიშნული დოკუმენტი ევროკავშირის პენიტენციური და პრობაციის სისტემების ხელშეწყობის პროექტის დახმარებით შემუშავდა. თეა წულუკიანმა ისაუბრა ეფექტიანი და ეფექტური პენიტენციური და დანაშაულის პრევენციის სისტემების უზრუნველყოფის გზებზე, რომელიც აკმაყოფილებს უმაღლეს ევროპულ სტანდარტებს სასჯელის აღსრულების ან სასჯელის ალტერნატიული სახეებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების კუთხით და, ამავდროულად, პატივს სცემს თავისუფლებააღკვეთილ პირთა უფლებებს, ღირსებას და ინდივიდუალურობას. როგორც მინისტრმა აღნიშნა, პენიტენციური სამსახურის საქმიანობა მიზნად ისახავს, ხელი შეუწყოს მსჯავრდებულთა საზოგადოებაში რეინტეგრაციას და განმეორებითი დანაშაულის შემცირებას იმისთვის, რომ ქვეყანაში გაუმჯობესდეს ზოგადი უსაფრთხოებისა და დაცულობის ხარისხი.

პრემიერ-მინისტრმა არჩილ ტატუნაშვილის ხსოვნას პატივი მიაგო

არჩილ ტატუნაშვილის მკვლელობა იყო ტკივილი, რომელმაც მთელი საქართველო გააერთიანა; ქართული სახელმწიფო სწორედ მისნაირ გმირებზე დგას, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე განაცხადა, სადაც არჩილ ტატუნაშვილის ხსოვნას პატივი მიაგო.

„დღეს ერთი წელი გავიდა არჩილ ტატუნაშვილის სასტიკი მკვლელობიდან. ერთი წლის წინათ, საოკუპაციო რეჟიმმა ჩვენი კიდევ ერთი მოქალაქე იმსხვერპლა. სასტიკად აწამეს, მაგრამ სულით ვერ გატეხეს. არჩილ ტატუნაშვილი არის ქართველი გმირი, ისევე, როგორც გმირები არიან მისი მშობლები, რომ ასეთი ვაჟკაცი აღუზარდეს საქართველოს. ჩვენ სწორედ ასეთი მძიმე დანაშაულების გამო შევქმენით „ოთხოზორიატატუნაშვილის სია“ და ამ სიაში შეყვანილ ბრალდებულ პირებს საერთაშორისო სამართლით უნდა მოეთხოვოთ პასუხი. ეს სია აუცილებლად გაფართოვდება, ვინაიდან გამოძიება ჯერ კიდევ მიმდინარეობს. ჩვენ ყველა პარტნიორს ვთხოვთ, გაითვალისწინოს ეს სია და ვფიქრობ, 2019 წელი ამ თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. ჩვენ ყველა მექანიზმს ვიყენებთ, რომ ეს ინფორმაცია მივაწოდოთ საერთაშორისო საზოგადოებას, იქნება ეს გაერო, ეუთო, ევროკავშირი თუ სხვა საერთაშორისო პლატფორმა. დარწმუნებული ვარ, ქართული სახელმწიფო აუცილებლად დააყენებს მართლმსაჯულებას ამ სასტიკ დანაშაულზე. ჩვენ უნდა შევძლოთ ყველაფერი, რომ მომავალში ასეთი ტრაგედიები გამოვრიცხოთ. ეს იყო ტკივილი, რომელმაც მთელი საქართველო გააერთიანა. ქართული სახელმწიფო დგას არჩილისნაირ გმირებზე“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.

პრემიერ-მინისტრმა არჩილ ტატუნაშვილის საფლავი გვირგვინით შეამკო და მის მშობლებს თანადგომა კიდევ ერთხელ გამოუცხადა. მთავრობის მეთაური მუხათგვერდის ძმათა სასაფლაოზე მინისტრთა კაბინეტის წევრებთან ერთად იმყოფებოდა.

პარლამენტმა საზოგადოებრივი მაუწყებლის ბორდის წევრობის კანდიდატის შესარჩევი კომისია დაამტკიცა

საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატის შესარჩევი საპარლამენტო-საკონკურსო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ. კომისიის შემადგენლობა განისაზღვრა შემდეგნაირად:

სოსო გალუმაშვილი — საზოგადოებასთან ურთიერთობის კონსულტანტი, PR სააგენტო „ჯეპრას“ დამფუძნებელი და ხელმძღვანელი; გოდერძი შარაშია — ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტი; ბონდო მძინარაშვილი — ტელერადიოკომპანია „ობიექტივის“ მთავარი რედაქტორი; ეთერ (ბაია) გადაბაძე — მედიამენეჯერი; ნინო ახვლედიანი — ჟურნალისტი, ქართული სახვითი ხელოვნების მუზეუმის PR ხელმძღვანელი; სალომე უგულავა — ჟურნალისტი, ონლაინგამოცემა „ტაბულის“ მთავარი რედაქტორი; ერმილე მესხია — ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი; დავით ცხადაძე — კინოოპერატორი, ხელოვნებათმცოდნე; ნათია კუპრაშვილი — თსუ-ს ასოცირებული პროფესორი, ჟურნალისტიკის რესურსცენტრის თავმჯდომარე.

◎ სეპარატიზმის მხრჩოლავი ნაკვერჩხალი

პარუნ სტეფანეს მამაძაღლობანი

(პირველი გვერდიდან)

ამ ამბავმა რამდენიმე წლის წინანდელი ერთი ამბავი გამახსენა, რომელიც მკითხველს, ალბათ, დავიწყებული აქვს.

მაშინ სააგენტო „მედია-ნიუსმა“ შეგვატყობინა, ცხინვალში სომხური სათვისტომო „არარატი“ დაარსდა ვინმე სტეფანე იარალოვის ხელმძღვანელობითო. მიზანი — სომხური ენის პოპულარიზაცია და კულტურული ურთიერთობის გაღრმავება.

კი ბატონო, ვინ გიშლის, გინდა „არარატი“ დააარსე და გინდა „იშტოიანი“, მაგრამ სტეფანე ისტორიის მიმართ რაღაც გაუკულმართებულ ხილვებს შეეწუხებინა და აცხადებდა, **„სამხრეთ ოსეთის დედაქალაქი ცხინვალი || საუკუნეში სომხეთის მმართველმა და არშაკიდების დინასტიის წარმომადგენელმა მეფე ასფაგურმა დააარსა, ამიტომაც არის, რომ ცხინვალში ჯერ კიდევ შემორჩენილია ძველი სომხური ქუჩები და ეკლესიებიო“.**

მოდი ახლა და უმტკიცე, რომ მეფე ასფაგური, მირდატ მეფის ძე, სომხეთის მმართველ არშაკიდების (უფრო სწორად, არშაკუნიანების) კი არა, საქართველოს მმართველ ფარნავაზიანთა დინასტიის უკანასკნელი წარმომადგენელი იყო, „ქართლის ცხოვრებაში“ იგი ქართლის ოცდამესამე მეფედ არის მოხსენიებული, ხოლო „მოქცევაი ქართლისაის“ მიხედვით — ოცდამეხუთე მეფედ. მანვე აღაშენა ციხე-ქალაქი უჯარმა. ასფაგურის სომხებთან „მისაერთებლად“ მხოლოდ ერთი „საბუთი“ არსებობს. იგი სომეხთა მეფესთან ერთად თავგადაკლული ებრძოდა სპარსელებს და დაამარცხა კიდეც ისინი, მაგრამ მისი მეფობის ბოლოს სპარსელებმა დაიპყრეს სომხეთი და ქართლში შეიჭრნენ. ასფაგური ოსეთში გადავიდა დამხმარე ლაშქრის მოსაყვანად, მაგრამ ბედმა უმუხთლა და იქ გარდაიცვალა.



პარუნ სტეფანეს ქართლის მეფის „ოსეთში გადასვლა“ ჩრდილოეთ კავკასიაში კი არა, ლიახვის ხეობაში ჩასვლა ჰგონია. იქ რა სპეციალური ექსპედიცია სჭირდებოდა, მისი სამკვიდრო იყო და ლაშქარში იქაური მოყმეები ისედაც უხვად ჰყავდა...

ისე რომ, სტეფანეს სქემა: „არშაკიანი ასფაგური — ოსეთში გადასვლა — ცხინვალის დაარსება დაახლოებით იმას ჰგავდა „ვ დილიჟანე ვადა, ვტარაია ვ მირე“...

თანაც თურმე ცხინვალში „ამიტომ ჯერ კიდევ არის შემორჩენილი ძველი სომხური ქუჩები და ეკლესიები“.

ერთმა ძველმა ცხინვალელმა მითხრა, კაცი დავბერდი და აქამდე არ ვიცოდი, ცხინვალში მეორე საუკუნისდროინდელი „სომხური ქუჩები და ეკლესიები“ თუ იყო, სტეფანეს მტკიცებას, ალბათ, იქ შაუმიანის ან მიქოიანის ქუჩების არსებობა თუ უმაგრებს ზურგსო.

იარალოვი სინანულს გამოთქვამდა იმის გამო, რომ „დღეს ცხინვალში სომხებისა და ოსების ახალი თაობები ერთმანეთთან სომხურ ენაზე საუბარს ვეღარ ახერხებენ“ და „არარატიც“ ამ საშინელი უბედურების აღმოსაფხვრელად დაუარსებია.

იქნებ ცხინვალში გუშინ ორმა-სამმა სომხის მეზობელმა ოსმა მართლაც იცოდა სომხური, მაგრამ ვითომ ამ ქალაქის მთელი ძველი თაობები ერთმანეთთან სომხურად საუბრობდნენ? ან ახლა ცხინვალში მეტი არაფერი აქვთ სადარდებელი, რომ როგორმე ის „ძველი, კეთილი დრო ააღორძინონ და ერთთა შორის საურთიერთობოდ სომხური გააესპერანტონ?

მოკლედ ეს სტეფანეღა გვაკლდა!..

მაგრამ შემდეგ და შემდეგ იმდენი სტეფანე იარალოვი თუ სურენ აივაზიანი მოგვეძალა, იმდენი „აღმოჩენა“ დაახვავეს, იმდენი სიბილწე იკადრეს, „არარატი“ ვიღას ახსოვს. მეც არ გავიხსენებდი, ამ ორ, გუშინდელ და მაშინდელ ამბავს შორის ცუდად შეფუთული სეპარატისტული ნაკვერჩხალი რომ არ ხრჩოლავდეს...

სანდრო ალექსიძე

რამ დააფრთხო პირში წყალ-დაგუბებული ჩვენი პარლამენტარები?!..

ეს უფრო მეტია, ვიდრე დანაშაული...

შარშან „ფრაქცია „საქართველოს პატრიოტების“ მხრიდან საქართველოს პარლამენტში შევიდა რეზოლუციის პროექტი:

„პარლამენტმა სამართლებრივ-პოლიტიკური შეფასება მისცეს სააკაშვილ-ბოკერიას მმართველობას. სააკაშვილისა და ბოკერიას მმართველობის პერიოდში საქართველოში დამყარდა დანაშაულებრივი, ავტორიტარული რეჟიმი“, რომელმაც:

ა) არჩევნების გაყალბების გზით განახორციელა საპარლამენტო და აღმასრულებელი ხელისუფლების უზურპაცია;

ბ) უპირობოდ დაიმორჩილა სასამართლო სისტემა, გაასამართლა და დამნაშავედ ცნო მოსახლეობის 8%-ზე მეტი, ერთ დიდ ციხედ აქცია მთელი ქვეყანა, რასაც თან ახლდა პატიმრების წამების, გაუპატიურებისა და ღირსების შელახვის მრავალგზის დადასტურებული ფაქტები, რაც აისახა საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 10 ივნისის დადგენილებაში;

გ) სისტემური ხასიათი მისცა პოლიტიკური ოპონენტების დევნას, რაც აისახა საქართველოს პარლამენტის 2012 წლის 5 დეკემბრის დადგენილებაში, რომელშიც 190 კაცი პოლიტპატიმრად არის აღიარებული, ხოლო 25 — პოლიტდევნილად;

დ) ძალით წაართვა მესაკუთრეებს ყველა მსხვილი სატელევიზიო არხი და იძულებით აქცია ეს არხები თავიანთი დანაშაულებრივი ქმედებების მეხოტბეებად;

ე) განსაკუთრებული სისასტიკით დაარბია 2007 წლის 7 ნოემბრის, 2009 წლის 6 მაისის, 2009 წლის 15 ივნისისა და 2011 წლის 26 მაისის საპროტესტო აქციები, რასაც თან ახლდა მშვიდობიანი დემონსტრანტების მკვლელობა, დასახიჩრება და მასობრივი დაპატიმრება;

ვ) მოსახლეობის დაშინების მიზნით, ქვეყანაში გამოაცხადა ე.წ. „ნულოვანი ტოლერანტობის“ პოლიტიკა, რის შედეგადაც, ღიად და ცინიკურად, საზოგადოების დასანახად მოკლა 150-ზე მეტი ადამიანი;

ზ) ასიათასობით ოჯახს უკანონოდ ჩამოართვა ქონება, ბიზნესი თუ კაპიტალი;

თ) დააგვირგვინა თავისი მოღვაწეობა კოდორისა და ახალგორის სამარცხვინო ჩაბარებით, რამაც, საბოლოო ჯამში, გამოიწვია რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების 22 %-ის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარება.

მივმართავთ საქართველოს პარლამენტს:

1. საქართველოში „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობა გამოცხადდეს სააკაშვილ-ბოკერიას დანაშაულებრივ რეჟიმად;

2. ექვსი თვის ვადაში მოხდეს სააკაშვილ-ბოკერიას დანაშაულებრივი რეჟიმის პერიოდში ჩადენილი მძიმე დანაშაულების, ყველა რეზონანსული საქმის გამოძიება, გამოიკვეთოს და პასუხისგებაში მიეცეს ყველა კონკრეტული დამნაშავე, მიუხედავად მისი დღევანდელი სტატუსისა. საქართველოს პარლამენტმა უზრუნველყოს გამოძიების მუშაობის ოპერატიული კონტროლი.

საზოგადოება გაფაციცებით ადევნებდა თვალყურს რეზოლუციასთან მიმართებაში საპარლამენტო უმრავლესობის დამოკიდებულებას. გაფაციცებით, რადგანაც ამ რეზოლუციის მიღება პირველ რიგში განსაზღვრავდა ხალხის შელახული ღირსების აღდგენისკენ გადადგმულ პირველ ნაბიჯს. ახდენდა სრულ ლუსტრაციას და ქვეყანას აძლევდა საშუალებას მოძალადეების წინააღმდეგ როგორც საერთაშორისო, ასევე შიდა სივრცეში ემოქმედა თავისუფლად.

აქ ბევრს აღარ დავწერ, რადგანაც ჩვენი გაზეთი მუდმივად აშუქებდა რეზოლუციის გარშემო მიმდინარე მოვლენებს. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ მუდმივად გვედო ხალხის განწყობის პულსზე ხელი, ვიცოდით მოსახლეობის უმრავლესობის დამოკიდებულება, ამ მეტად სენსიტურ საკითხთან მიმართებაში და ველოდით შედეგს.

შედეგიც დადგა:

21 თებერვალს პარლამენტმა, კენჭისყრის შედეგად, — 45 მომხრე, 16 წინააღმდეგი — მხარი არ დაუჭირა „საქართველოში „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის სააკაშვილ-ბოკერიას დანაშაულებრივ რეჟიმად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის რეზოლუციის პროექტს, რომელიც ფრაქცია „საქართველოს პატრიოტების“ ინიციატივა იყო.

დიახ, პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა რეზოლუციას, რომელიც უმთავრესს — ღირსებას უბრუნებდა საქართველოს მოსახლეობას.

კენჭისყრის წინ პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ განაცხადა:

„ჩვენ ვეთანხმებით რეზოლუციის ზოგად პათოსსა და შინაარსს. ვიზიარებთ იმ მოსაზრებას, რომ რეჟიმი, რომელიც იყო ჩამოყალიბებული 2004-2012 წლებში — იყო დანაშაულებრივი. ჩვენ მხარს ვუჭერთ საერთო პათოსს, საერთო შინაარსს, თუმცა, სამართლებრივ მხარესთან დაკავშირებით გვაქვს შენიშვნები. თუ ეს ნაწილი იქნება გადასინჯული, მაშინ მზად ვართ, ვიმსჯელოთ ასეთი რეზოლუციის მიღებასთან დაკავშირებით“.

უარის თქმის „გაპრავების“ ძალიან მდარე ხრიკი შემოგვთავაზა პარლამენტის თავმჯდომარემ, მაგრამ ამაზე ქვემოთ. ახლა კი გაგაცნობთ იმ დეპუტატებს, რომლებმაც მხარი დაუჭირეს რეზოლუციას და ამ აქტით გამოხატეს ნამდვილი, ღირსეული საქართველოს მომავლისადმი მხარდაჭერა:

ირაკლი აბუსერიძე, რევაზ არველაძე, ლევან ბეჟანიშვილი, ეკა ბესელია, გიგა ბუკია, ბიძინა გეგიძე, ლევან გოგიჩაიშვილი, გოგა გულორდავა, ალექსანდრე ერქვანია, გიორგი თორთლაძე, ზვიად კვაჭანტირაძე, პაატა კვიჟინაძე, კობა კობალაძე, ლევან კობერიძე, კარლო კოპალიანი, კობა ლურსმანაშვილი, იოსებ მაკრახიძე, სულხან მახათაძე, პაატა მხეიძე, კობა ნაკაიძე, კობა ნარჩემაშვილი, ბექა ნაცვლიშვილი, ზაზა პაპუაშვილი, რუსლან პოღოსიანი, გია ჟორჟოლიანი, ირაკლი ტრიპოლსკი, გედევან ფოფხაძე, ნუკრი ქანთარია, მერაბ ქვარაია, ირაკლი შიოლაშვილი, გოდერძი ჩანქსელიანი, ოთარ ჩრდილელი, ზვიად ძიძიგური, მირიან წიკლაური, გივი ჭიჭინაძე, შოთა ხაბარელი, ფატი ხალვაში და თენგიზ ხუბულური.

საქართველოს პარლამენტის წევრები, რომლებმაც ხმა მისცეს რეზოლუციის წინააღმდეგ: აბესაძე ირაკლი, ბაქრაძე დავით, ბობოხიძე აკაკი, ბოკერია გიორგი, გოგორიშვილი ხათუნა, გუნავა თენგიზ, დამენია ლაშა, კანდელაკი გიორგი, კედელაშვილი ზაზა, ნადირაშვილი ირმა, ნიკოლაიშვილი რამაზ, რატიანი სერგო, ტუღუში გიორგი, ქებურია ლელა, ღვინიაშვილი გიორგი, ჭიაბერაშვილი ზურაბ.

აქ არაფრის თქმა არ არის საჭირო, რადგანაც სრული აბსურდი იქნებოდა გერინგს ნიურნბერგის პროცესზე თავისი და თავისი თანაგუნდელების დასჯისთვის რომ მიეცა ხმა.

აი ყველაზე საოცარი იყო ე.წ. „თავშეკავებულების“ სია.

„როცა გერმანიაში ნაცისტები კომუნისტებს მიადგნენ, ხმა არ ამომიღია, რადგან კომუნისტი არ ვყოფილვარ. როცა ებრაელებს მიადგნენ, ხმა არ ამომიღია, რადგან ებრაელი არ ვყოფილვარ. პროფკავშირებს რომ მიადგნენ, ხმა არ ამომიღია, რადგან პროფკავშირელი არ ვყოფილვარ. კათოლიკეებზე გადავიდნენ და ხმა არ ამომიღია, რადგან კათოლიკე არ ვყოფილვარ. შემდეგ მე მომადგნენ... და აღარავინ იყო დარჩენილი, რომ ხმა ამოეღო...“

მარტინ ნემიოლერი.

საქართველოს პარლამენტის წევრები, რომლებმაც თავი შეიკავეს: ბერაია ირაკლი (დაჩი), ბოკუჩავა თინათინ, ბოლქვაძე ანზორ, გაჩეჩილაძე გიორგი, გაჯიევი რუსლან, გოცირიძე ელგუჯა, გოცირიძე რომან, დარზიევი მახირ, დასენი ისკო, ვახტანგაძე მუხრან, ვოლსკი გიორგი, ზარდიაშვილი ვანო, თოლორაია ედიშერ, იონათამიშვილი რატი, კაკულია რომან, კახიანი გიორგი, კახიძე ოთარ, კიკნაველიძე შალვა, კილაძე სოფო, კობახიძე ირაკლი, კობიაშვილი ლევან, კოვზანაძე ირაკლი, კოხრეიძე თეიმურაზ, კუჭავა კახაბერ, მათიკაშვილი დავით, მანუკიანი სამველ, მარგველაშვილი გენადი, მაღრაძე გუგული, მაჭავარიანი ენძელა, მაჭარაშვილი გურამ, მდინარაძე მამუკა, მეზურნიშვილი ირაკლი, მელია ნიკანორ, მეშველიანი გოგი, მირზოევი სავალან, მიქელაძე გრიგოლ, მოსიძე გიორგი (კენჭისყრის შემდეგ თქვა, რომ ვერ მოასწრო ხმის მიცემა რეზოლუციის მხარდასაჭერად), მუჩიაშვილი რომან, ნავერიანი თამაზ, ნაკაშიძე ილია, ნოზაძე სიმონ, ოხანაშვილი ანრი, სამადაშვილი სალომე, სამხარაული გელა, სამხარაძე დიმიტრი, სონღულაშვილი დავით, სულეიმანოვი აზერ, ფრუიძე ირინე, ყაველაშვილი მიხეილ, შალელაშვილი შოთა, ჩუგოშვილი თამარ, ჩხეიძე ნატო, წილოსანი ნინო, ხაბაძე არჩილ, ხატიძე გიორგი, ხოშტარია ელენე, ხულორდავა თამარ, ხუნდაძე დიმიტრი.

საქართველოს პარლამენტში ახლა 149 დეპუტატია (მთაწმინდის საარჩევნო ოლქში შუალედური არჩევნები უნდა გაიმართოს). რეგისტრაცია გაიარა 119 დეპუტატმა.

რეგისტრაცია არ გაუვლია, ანუ სხდომას არ ესწრებოდა 30 დეპუტატი.

ცხადია, „თავშეკავებულების“ უმრავლესობამ იცის მარტინ ნემიოლერის ფრაზა, მაგრამ...

და რეალურად რა მოხდა?

პირდაპირ ვიტყვი: ხალხის საოცარი შეურაცხყოფა, არაპრაგმატულობა და აშკარად გაუაზრებელი ქმედება, რომელიც უხეშად რომ ვთქვა — იმ ტოტს ჭრის, რომელზეც ზის.

ამ შემთხვევაში ტოტი ის ამომრჩეველია, რომელსაც ყოველი არჩევნების წინ აშინებენ — მიშა მოდის, მიშა მოდის!

ამ ქმედებით არა კოჰაბიტაციის და არა უნიათობის, არამედ უფრო უარესის — ნაცებთან მენტალური მსგავსების, ან იმ უაზრო შიშის დადასტურება მოხდა, რომელიც მონღოლი დამპყრობლების მიმართ ხვარაზმელ დეჰყანებს ჰქონდათ.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადების ის ნაწილი, სადაც ამბობს — „უმრავლესობა რეზოლუციის პათოსს ეთანხმება და იზიარებს, რომ წინა ხელისუფლება დანაშაულებრივ რეჟიმს წარმოადგენდა, თუმცა იმის გამო, რომ დოკუმენტის მიმართ არსებობს სამართლებრივი შენიშვნები, მხარს ვერ დაუჭერენ. „თუკი პროექტი ამ ნაწილში გადაიხედება, მზად ვართ, ასეთი რეზოლუციის მიღებაზე ვიმსჯელოთ“, — მისაღებია მოსახლეობის მცირე ნაწილისთვის. ხოლო ამომრჩევლის უმრავლესობა, რომელიც ე.წ. კოჰაბიტაციას, შეხმატკბილებას, „ბოკერვილების“ საკანონმდებლო ორგანოში ყოფნას, მურუსიძეების უვადო „სამოსამართლეო სევდას“ დ.ა.შ. საკუთარი ღირსების შელახვად თვლის, განცხადების ამ ნაწილს დროის გაწელვად და ე.წ. „მოღორებად“ აღიქვამს (ბროკოლიჭამიების გასაგონად ვიტყვი, რომ „მოღორება“ ტყუილს და ყალბი დაპირებით დროის გაწელვას ნიშნავს).

უნდა გავიმეორო ჟოზეფ ფუშეს იმ ფრაზის ნაწილი, რომელიც მან ნაპოლეონს ენგიენის ჰერცოგის სიკვდილით დასჯის შემდეგ უთხრა — ეს უფრო მეტია, ვიდრე დანაშაული... (C'est Plus Qu'un Crime, C'est Une Faute).

მე ჩემი მხრივ დავამატებ — დიდი შეცდომა!

გია გაბრიჭიძე

P. S.

„უვადო მურუსიძეებსა“ და პარლამენტარ „თავშეკავებულებთან“ დაკავშირებით, საქართველოს „პატრიოტთა ალიანსი“ 7 მარტს, ხუთშაბათს, დღის 3 საათზე, აცხადებს საზოგადოების შეკრებას დიღმის მასივის დასაწყისში, დიღუბის ხიდთან მდებარე წმინდა გიორგის ეკლესიის ეზოში, საიდანაც გაიმართება მსვლელობა სააპელაციო სასამართლოს-

ᲔᲙᲐ ᲑᲔᲡᲔᲚᲘᲐ ᲜᲐᲪᲔᲑᲗᲐᲜ ᲐᲠ ᲘᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲔᲑᲡ!

ᲔᲙᲐ ᲑᲔᲡᲔᲚᲘᲐᲛ ᲒᲣᲨᲘᲜ ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐ ᲓᲐ „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲐ“ ᲓᲐᲢᲝᲕᲐ.

„მივდივარ იქ, სადაც საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობაა, სადაც ჯერ კიდევ არის იმის იმედი, რომ ამ ავბედით კოჰაბიტაციას არ გადაყვება, როგორც სახელმწიფოსთვის, ასევე ყოველი ოჯახისთვის, მოქალაქისთვის ყველაზე ღირებული რამ — სამართალი, სამართლიანი სასამართლო და სამართლიანობა“,— განაცხადა ბესელიამ საგანგებო ბრიფინგზე. როგორც ბესელიამ მრავალმნიშვნელოვნად განაცხადა, „ქართული ოცნება“ 2012 წლის იდეალებს ასცდა.

„ქართული ოცნება“ 2012 წლის პირველი ოქტომბრის იდეალებს ასცდა. ჩვენ დღეს ღირებულებათა სხვაობა გვაქვს. ჩვენი ყველა მცდელობა ბოლო ორი წლის განმავლობაში, რაც კი მქონდა შიგნით, შეცვლილიყო ეს ვითარება, გავთავისუფლებულიყავით „ნაციონალური მოძრაობის“ ნარჩენებისგან, რომელმაც შემოაღწია შიგნით, თან საკმაოდ დიდი დოზით, ვერ გამოიღო შედეგი. თავის დროზე, როცა პოლიტიკაში წავედი, ამის მთავარი მიზეზი იყო სამართლიანობა და სასამართლო სისტემის გამოსწორება. როგორც ჩანს, ეს ბრძოლა არ დასრულებულა და დღესაც გრძელდება“.

მისივე თქმით, პირველ რიგში, ხელისუფლებამ ხალხს უნდა ჰკითხოს, უჭერენ თუ არა მხარს იმ მოსამართლეთა უვადოდ გამწესებას, რომლებიც იყვნენ სისასტიკის და არაადამიანური მოპყრობის მთავარი შემოქმედები.

„უნდა დავიწყოთ კონსტიტუციური ცვლილება და ეს უნდა შეეხოს იმ ადამიანებს, ვინც უკვე დანიშნულია. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ერთნაირად გვექნება პასუხი იმათ მიმართ, ვინც უკვე გაამწესა ნდობადაკარგულმა იუსტიციის საბჭომ და იმათ მიმართაც, ვინც უნდა გაამწესოს. იუსტიციის უმაღლესი საბჭო უნდა შეიცვალოს და ეს გადაწყვეტილება უნდა იყოს მიღებული უსწრაფესად. იუსტიციის სკოლის რეფორმით უნდა მოხდეს ახალი მოსამართლეების შემოსვლა სასამართლო ხელისუფლების შიგნით და ის ადამიანები, ვინც ემსახურებოდა ამ ძალადობრივ რეჟიმს და სისასტიკეს, მათ უნდა დატოვონ სასამართლო ხელისუფლება. უნდა გამკაცრდეს დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები. მათი გადაწყვეტა, ანუ დისციპლინური პასუხისმგებლობა არ უნდა იყოს ამ საბჭოს ხელში. საბჭო უნდა დაკომპლექტდეს ახალი წესით. ხოლო უზენაეს სასამართლოში უნდა გავამწესოთ ის მოსამართლეები, რომლებიც არ იყვნენ დაკავშირებული ძალადობრივ რეჟიმთან. დღეს ისევ ხდება ამ ინტერესების ლობირება და ეს ხდება პარლამენტში ღიად, პარლამენტის თავმჯდომარის და იმ დეპუტატების სახით, ვინც მე არასდროს მინახავს იმ ბრძოლაში, როდესაც ჩემი მეგობრები და თანამოაზრეები წლების განმავლობაში ველოდებოდით ძალადობრივი რეჟიმის შეცვლას“.

როგორც ბესელიამ აღნიშნა, ბრძოლას განაგრძობს.

„ეს გადაწყვეტილება შეიძლება, ჩემთვის რთულია, მაგრამ არის სამართლიანი და სწორიც. ვაპირებ, ბრძოლა გავაგრძელო იმ ადამიანებთან ერთად, ვინც არასდროს დაღლილა ამ ბრძოლაში, ვისაც არასდროს უღალატია ამ იდეალებისთვის, ვისაც არასდროს არ აურჩევია კომფორტი, თანამდებობა და არასდროს უთქვამს უარი საკუთარ პრინციპებზე. მე მათთან ერთად გავაგრძელებ ბრძოლას და აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, ამ ბრძოლას ბოლომდე მივიყვანთ, ჩვენ მივიყვანთ ბოლომდე იმ იდეალებს, რისთვისაც პირველი ოქტომბერი ამ ქვეყანაში მოვიდა“,— აღნიშნა მან.

ბესელია პარლამენტში რჩება როგორც დამოუკიდებელი დეპუტატი:

„დაველოდები კოლეგების გადაწყვეტილებებს, რომელთაც აქვთ პროტესტი ამ ყველაფერზე, რაც ხდება პარლამენტში. შევქმნი პლატფორმას, შემდეგ გავალთ ხალხთან და დავიწყებთ პროცესს. ამაზე მეტს არაფერს ვიტყვი. არ გამოვრიცხავ არც ერთ პოლიტიკურ ინსტრუმენტს, რომელიც არის სამართლებრივი“.

ᲐᲛᲐᲡᲗᲐᲜ, ᲑᲔᲡᲔᲚᲘᲐᲛ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲠᲔᲑᲡ „ᲜᲐᲪᲘᲝᲜᲐᲚᲣᲠ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐᲡᲗᲐᲜ“ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐᲡ.

ᲚᲐᲓᲝ ᲞᲐᲞᲐᲕᲐ: ᲐᲜᲐᲙᲚᲘᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

„ᲐᲜᲐᲙᲚᲘᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ. ᲔᲡ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲘ. ᲔᲡ ᲗᲔᲛᲐ ᲯᲔᲠ ᲙᲘᲓᲔᲕ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲟᲘᲛᲘᲓᲐᲜ ᲛᲝᲓᲘᲡ. ᲐᲜᲐᲙᲚᲘᲘᲡ ᲞᲝᲠᲢᲡ ᲑᲐᲢᲝᲜᲘ ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔᲪ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲘ ᲐᲮᲚᲐᲕᲡ ᲗᲐᲜ. “

— ამის შესახებ განცხადებას თსუ-ს პროფესორი ლადო პაპავა „კომერსანტთან“ აკეთებს. კითხვაზე, მამუკა ხაზარაძის საქმის გათვალისწინებით, ხომ არ დადგება პროექტის განხორციელება კითხვის ნიშნის ქვეშ, პაპავა განმარტავს, რომ საერთოდ ანაკლიის პორტი რთული თემაა.

„პორტის თემა ჯერ კიდევ კომუნისტების დროს განიხილებოდა. ჯერ კიდევ ჩემი მინისტრობის დროს, გასული საუკუნის 90-იან წლებში, შევარდნაძის მთავრობაში. მთავარია, რომ ამით ქვეყნის სტრატეგიულ ინტერესებს ზიანი არ მიადგეს. ეს კი უწინარეს ყოვლისა, საქართველოს მთავრობის პასუხისმგებლობაა და მისი საზრუნავია. რადგანაც მამუკა ხაზარაძემ მიიღო გადაწყვეტილება და ბანკის სამეთვალყურეო საბჭოში აღარ არის, რა თქმა უნდა, ეს მის ტვირთს ამსუბუქებს. მიუხედავად ამისა, ინვესტორებთან ურთიერთობის მთავარი ფიგურანტი საქართველოს მთავარობა უნდა იყოს და არა მამუკა ხაზარაძე“, — აღნიშნავს პროფესორი ლადო პაპავა.

> ᲨᲔᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗ, ᲠᲝᲛ ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲮᲐᲖᲐᲠᲐᲫᲔᲛ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲔᲠᲗᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲜᲐᲓ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲗᲔᲚ ᲛᲘᲡ ᲔᲜᲔᲠᲒᲘᲐᲡ ᲐᲜᲐᲙᲚᲘᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲣᲫᲦᲕᲜᲘᲡ.

ᲡᲝᲤᲝ ᲫᲚᲝᲕᲠᲔᲚᲘ

◎ ᲓᲐᲕᲘᲪᲕᲐᲗ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲝᲕᲐᲜᲘ ᲤᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲐᲜᲘ

ᲛᲝᲛᲔᲪᲘ ᲑᲐᲕᲨᲕᲘ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲒᲐᲜ ᲒᲐᲒᲘᲖᲠᲓᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲝᲜᲐᲖᲝᲜᲡ, ᲘᲡᲔ — ᲢᲔᲠᲠᲝᲠᲘᲡᲢᲡ!..

ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ ᲢᲔᲠᲛᲘᲜᲔᲑᲘ: „ᲓᲔᲓᲐ“ ᲓᲐ „ᲛᲐᲛᲐ“ „ᲛᲨᲝᲑᲔᲚᲘ 1“ ᲓᲐ „ᲛᲨᲝᲑᲔᲚᲘ 2“-ᲘᲗ ᲨᲔᲘᲪᲕᲚᲔᲑᲐ. ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲛᲐ ᲐᲡᲐᲛᲑᲚᲔᲐᲛ ᲔᲡ ᲢᲔᲠᲛᲘᲜᲔᲑᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲩᲐᲐᲜᲐᲪᲕᲚᲐ. ᲙᲐᲜᲝᲜᲞᲠᲝᲔᲥᲢᲡ ᲛᲮᲐᲠᲘ ᲓᲔ�პᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲣᲛᲠᲐᲕᲚᲔᲡᲝᲑᲐᲛ ᲓᲐᲣᲭᲘᲠᲐ.

კანონპროექტის მომხრეები აცხადებენ, რომ კანონის საბოლოოდ დამტკიცებით ერთნაირსქესიანი მშობლების მიმართ დისკრიმინაცია აღმოიფხვრება. სენატი იმის უფლებას იტოვებს, საჭიროების შემთხვევაში, კანონპროექტი დაბლოკოს და საბოლოო განხილვისთვის ისევ ეროვნულ ასამბლეას დაუბრუნოს.

კანონპროექტის ავტორი საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონის პარტიის „საფრანგეთი, წინ“ წევრი დეპუტატი **ვალერიპეტია**. დეპუტატის მტკიცებით, მან საფრანგეთში მიღებული კანონები გაითვალისწინა, რომლის მიხედვითაც, ერთნაირსქესიან წყვილებს დაქორწინება და ბავშვების აყვანა შეუძლიათ. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ კანონპროექტს ბევრი ქომაგი ჰყავს, კრიტიკოსები ინიციატივას „დეჰუმანიზაციად“ აფასებენ.

როგორც ჩანს, ფრანგებს ნაკლებად ადარდებთ, რა ხდება ამ დროს ბავშვის ფსიქიკაში და ტერმინების ვითომდაც უწყინარი შეცვლით ხომ არ ინგრევა ბავშვის მიერ სამყაროს აღქმა? თუმცა, თუკი ფრანგები დისკრიმინაციას გაურბიან, მათ ისიც უნდა შეენიშნათ, რომ ტერმინები „მშობელი 1“ და „მშობელი 2“ იმთავითვე დისკრიმინაციულია, რადგან ამით ხდება მშობლების დახარისხება პირველ და მეორე ნომრებად. არასამთავრობო ორგანიზაცია „სასკოლო კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი, მკვლევარი **ᲛᲣᲮᲠᲐᲜ ᲒᲣᲚᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ საფრანგეთსა და ჰოლანდიაში შეიძლება რაღაც განსხვავებული ხდებოდეს, რადგან მათ სხვა მენტალობა აქვთ, მაგრამ საქართველო კულტურულად სრულიად განსხვავებული ქვეყანაა.

„ასეთი გამოთქმაც არსებობს, „მომეცი ბავშვი და მისგან გაგიზრდი როგორც მონაზონს, ისე — ტერორისტს“. როგორც აღზრდი ბავშვს, იგი ისეთი გამოვა. არ უნდა აღზარდო ბავშვი ცუდად, არ უნდა შთააგონო არასწორი იდეები, თორემ ბავშვებს რომ ეტყვი, ეს დედა კი არ არის, ან მამა კი არ არის, არამედ „მშობელი 1“ და „მშობელი 2“-ია, თაობების მერე აღარც კი ეცოდინებათ, რომ ვიღაც ოდესღაც დედა იყო და ვიღაც — მამა. ბავშვის ფსიქიკა ამით მოიშლება. რასაც ბავშვს ეტყვი, იმას იმახსოვრებს, შეიძლება ერთი ან ორი თაობა მის მეხსიერებას კიდევ შემორჩეს ტერმინები „დედა“ და „მამა“, მაგრამ შემდეგ თაობებში რა იქნება, უკვე აღარ ვიცი“, — აღნიშნა მუხრან გულიაშვილმა.

უფლებადამცველი **ᲗᲐᲛᲐᲖ ᲑᲐᲙᲣᲠᲐᲫᲔ** ჩვენთან საუბარში აცხადებს, რომ დიდ პატივს სცემს დასავლურ კულტურას, დასავლურ ცივილიზაციას, ასევე, თანამედროვე დასავლეთს, მაგრამ ჩვენ უფრო ძველი ქვეყანა ვართ, ჩვენ უფრო ადრეული ისტორია, კულტურა გვაქვს და არ არის აუცილებლობა, ყველაფერში დასავლეთს მივბაძოთ.

„ჩვენ გვაქვს სიტყვა „დედაენა“, „დედასამშობლო“. ეს სიტყვები როგორ უნდა შევცვალოთ? „დედაენას“ რა უნდა დავარქვათ, „მშობელი 1“, თუ „მშობელი 2?“ ასევე, „დედასამშობლოს“ რა უნდა ვუწოდოთ, „მშობელი 1“ და „მშობელი 2“ ერთდროულად? ყველაფერი, რასაც მიიღებენ და დააკანონებენ უცხოეთში, ვერ მოერგება ჩვენს თანამედროვეობას და ჩვენს მომავალს. მე პატარა ბავში მყავს, 5 წლის, შინ რომ მოდის, კითხულობს, მამა თუ არის სახლში? რა ვუპასუხოთ? „მშობელი 2?“ რა უბედურებაა? ვერ წარმომიდგენია, საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა, რომელთათვისაც მშობლისა და შვილის ფენომენი ძალიან ძვირფასია, მოინდომოს და გადავიდეს „მშობელი 1“-ისა და „მშობელი 2“-ის დარქმევაზე“, — აღნიშნა თამაზ ბაკურაძემ და დასძინა, ფრანგებს უამრავი პრობლემა აქვთ, ერთმანეთში ვერ გარკვეულან და ვერ დალაგებულან.

ᲐᲮᲚᲐ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ, ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲕᲘᲪᲕᲐᲗ ᲘᲡ ᲤᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲔᲑᲘ, ᲠᲐᲪ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲔᲗᲐ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲐ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲒᲐᲛᲣᲓᲛᲔᲑᲘᲗ ᲕᲘᲪᲐᲕᲓᲘᲗ.

ᲛᲐᲜᲐᲜᲐ ᲜᲝᲖᲐᲫᲔ

> **ᲑᲐᲕᲨᲕᲔᲑᲡ ᲠᲝᲛ ᲔᲢᲧᲕᲘ, ᲔᲡ ᲓᲔᲓᲐ ᲙᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲐᲜ ᲛᲐᲛᲐ ᲙᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ „ᲛᲨᲝᲑᲔᲚᲘ 1“ ᲓᲐ „ᲛᲨᲝᲑᲔᲚᲘ 2“-ᲘᲐ, ᲗᲐᲝᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲔ ᲐᲦᲐᲠᲪ ᲙᲘ ᲔᲪᲝᲓᲘᲜᲔᲑᲐᲗ, ᲠᲝᲛ ᲕᲘᲦᲐᲪ ᲝᲓᲔᲡᲦᲐᲪ ᲓᲔᲓᲐ ᲘᲧᲝ ᲓᲐ ᲕᲘᲦᲐᲪ — ᲛᲐᲛᲐ. ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲤᲡᲘᲥᲘᲙᲐ ᲐᲛᲘᲗ ᲛᲝᲘᲨᲚᲔᲑᲐ...**

ბიძინა ივანიშვილი: თუ გინდათ, შვილებს ასწავლოთ, რა არის ხელოვნება, შეგიძლიათ, უთხრათ, რომ რეზო ესაძის მოღვაწეობას გაეცნოთ

„შვილებს თუ გინდათ, ასწავლოთ, რა არის ხელოვნება, შეგიძლიათ, უთხრათ — ბატონი რეზო ესაძის მოღვაწეობას გაეცნონ. ბატონი რეზოს შემოქმედებაში ხელოვნების ყველა ძირითადი დარგი აისახება. ბატონი რეზოს შემოქმედებაზე საუბარს არ ვაპირებ. ჩემთვის ბატონი რეზოს ფენომენი ყველაზე მეტად აისახება მის პიროვნებაში. ასეთი გულწრფელი ადამიანი ცხოვრებაში არ მინახავს, ასეთი ხალასი ადამიანი ცხოვრებაში არ შემხვედრია. როდესაც მივულოცე ბატონ რეზოს, ყურში ვეუბნებოდი, რომ იმის ოცნება მქონდა, ისე დავბერებულიყავი, რომ საზოგადოება თქვენნაირი ხალხით ყოფილიყო ძირითადად ჭარბი. ეს ოცნება, ეტყობა, ასე გამყვება. ეს დარდი ბატონ რეზოსაც გავუზიარე. თქვენც კარგად ხედავთ, რომ სამწუხაროდ, ცივილიზაციამ ამავდროულად საოცარი აგრესია მოიტანა. შეიძლება ითქვას, რომ 21-ე საუკუნე ყველაზე მეტად ამით გამოირჩევა. ეს მძიმე სიტყვებია, ამხელა ანტაგონიზმი ადამიანებს შორის ისტორიას არ ახსოვს“, — განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

რეზო ესაძის ფენომენი ჩემთვის ყველაზე მეტად მის **პიროვნებაში აისახება,** — ამის შესახებ პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ბიძინა ივანიშვილმა რეზო ესაძის ვარსკვლავის გახსნაზე განაცხადა.

პარტია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ რეზო ესაძეს ვარსკვლავის გახსნა მიულოცა და განაცხადა, რომ რეზო ესაძე თავად არის ხელოვნების ნიმუში.

„ის არის ჩემთვის ადამიანობის ნიმუში, გულწრფელობისა და სიყვარულის ნიმუში. რა თქმა უნდა, მის ხელოვნებაში ის ყველგან ჩანს, მაგრამ თვითონ პიროვნება ჩემთვის განსაკუთრებულად ძვირფასია. ვუსურვებ საქართველოს საზოგადოებას, მოხდეს ისე, ჩვენ შვილებს, შვილიშვილებს, მათი თაობის ძირითადი ნაწილი სწორედ ასეთი ადამიანები ჰყოლოდეთ, როგორიც ბატონი რეზოა თავისი ხასიათით. ადამიანის სულიერება თუ გვინდა და ვიბრძვით, ადამიანები ასეთები უნდა დაიბადონ. დიდხანს სიცოცხლე და სიყვარული ვუსურვოთ მას. როდესაც ბატონ რეზოს ხელოვნებაზე ვესაუბრებოდი, ასე მიპასუხა, რომ აწი გავაკეთებ, რასაც გავაკეთებო“, — აღნიშნა ბიძინა ივანიშვილმა.

რეჟისორის, სცენარისტის, მსახიობის, მხატვრისა და პოეტის რეზო ესაძის ვარსკვლავი კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ გაიხსნა.

დიმიტრი გულიას პატივგება

აფხაზეთის **სულიერებისა და კულტურის ცენტრის ორგანიზებით ცნობილი აფხაზი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის დიმიტრი გულიას დაბადებიდან 145-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო გაიმართა. ღონისძიებაზე დიმიტრი გულიას მოღვაწეობისა და შემოქმედების შესახებ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორმა მარინე ტურავამ ისაუბრა.**

ღონისძიებას აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრი მანანა ქვაჩახია დაესწრნენ.

დიმიტრი გულია 1874 წლის 21 თებერვალს გულრიფშის რაიონის სოფელ ურჩაში დაიბადა. დაამთავრა გორის საოსტატო სემინარია. 1924-1926 წლებში აფხაზურ ენას ასწავლიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. დიდია დიმიტრი გულიას ღვაწლი აფხაზური ენისა და კულტურის განვითარებაში. მისი კულტურულ-საგანმანათლებლო და სამწერლო მოღვაწეობა ფართო და მრავალმხრივი იყო. 1892 წელს კ. მაჭავარიანთან ერთად რუსული გრაფიკის საფუძველზე შეადგინა აფხაზური ანბანი.

დიმიტრი გულიამ აფხაზურ ენაზე თარგმნა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის ლექსები. 1919-1920 წლებში გულია პირველი აფხაზური გაზეთის „აფსნის“ რედაქტორი იყო. 1921 წელს მან პირველი აფხაზური თეატრალური დასი ჩამოაყალიბა.

◎ ყურს ნუ წავუყრუებთ!

დროა, ავხმაურდეთ ხმაურის წინააღმდეგ!..

ვინ დაიცავს თბილისელებს აკუსტიკური ტერორისაგან?!

საძართველოში ალბათ ცოტა ვიმემთუ იცის, რას ნიშნავს აკუსტიკური ტერორიზმი ხმაურითა და ელექტრომაგნიტური ტალღებით, რაც პირველად გამოყენებული იყო კუბაში ამერიკელი წარმომადგენლობის მიმართ. ამერიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დროულად შენიშნა მათი ფსიქოემოციური მდგომარეობის გაუარესება და პრეზიდენტმა დროულად გაიწვია თანამშრომლები კუბიდან. სამწუხაროდ, წლების მანძილზე და დღესაც თბილისელ მოქალაქეებს ცხოვრება უხდებათ აკუსტიკური ტერორიზმის პირობებში, რაც რესტორნებიდან და კაფეებიდან მომდინარე სროლებითა და მუსიკალური **აკუსტიკური ნაგვითაა** განპირობებული, როცა ხმაური სასიკვდილო 70 დეციბელსაც კი აღემატება. ამას ემატება აგრეთვე უკანონოდ ჩართული კონდიციონერები მეზობლების საწოლი ოთახების გასწვრივ.

აღნიშნულთან დაკავშირებით საინტერესო პასუხი მივიღე მერიიდან, თურმე რესტორნებს უფლება აქვთ, სროლები აწარმოონ დღის განმავლობაში ნებისმიერ დროს. დასანანია, რომ არ ითვალიწინებენ მეცნიერთა წინადადებებს, რომ მაღალი ბგერები, ე.წ, **„აკუსტიკური ნაგავი“,** იწვევს იმ ნეირონების სიკვდილს, რომელთა მეშვეობით ხორციელდება თავის ტვინში ხმოვანი რხევების შეგრძნება და გავრცელება. ბგერის გამაძლიერებლის ერთმა აკორდმა შეაძლებელია, გაანადგუროს რამდენიმე ასეული ნეირონი, რაც გავლენას ახდენს ახალგაზრდების თავის ტვინის განვითარებასა და მეხსიერების ჩამოყალიბებაზე, განსაკუთრებით სახიფათოა ახალშობილების პოსტემბრიონული განვითარებისას.

42 დეციბელის პირობებში მნიშვნელოვნად მატულობს თავის ტვინში სისხლის წნევა. როდესაც ხმაური 50 დეციბელს აღემატება ბავშვებში აღინიშნება აგრესიული ქცევები, უმადობა, ძლიერი აგზნება, დეპრესია და ადრენალინის ჭარბი რაოდენობით გამოყოფა, რაც იწვევს მათ არანორმალურ ქცევებს. გასათვალისწინებელია, რომ თანამედროვე მუსიკალური სისტემების დინამიკების სიმძლავრე რამდენჯერმე აღემატება რეაქტიული თვითმფრინავების მოტორის ხმაურსაც კი, რაც საკმაოდ აზიანებს ცენტრალურ ნერვულ სისტემას, მით უმეტეს, როცა ეს ხდება რესტორნებში აკუსტიკური ხმაურისა და ალკოჰოლის ფონზე. ასეთ პირობებში არც გონება და არც სული არ ექვემდებარება ინტელექტუალურ კონტროლს, იკარგება ცნობიერება, ქვეცნობიერად იღვიძებს ცხოველური მისწრაფებები, სექსუალური ლტოლვა, აგრესია, რაც ხშრად მკვლელობითაც კი მთავრდება. ერთ-ერთ რესტორნის დიასახლის ვკითხე, თუ რა მდგომარეობაში ბრუნდება იგი სახლში, მან მიპასუხა, რომ უჩვის თავის ტკივილებს და მაღალ წნევას. აღსანიშნავია, რომ რესტორნებში ისეთი ხმაურია „მუსიკის“ გამო, რომ შეუძლებელი ხდება საუბარი მეგობრებთან, მსგავსი პირობები არც ერთ უცხოურ რესტორანსა და კაფეში არ მინახავს. უკრავენ საკმაოდ მშვიდ მუსიკალურ ნაწარმოებებს დაბალ ტონებში, არავინ ცდილობს, ხმაურიანი მუსიკით მიიზიდონ კლიენტები რესტორანში შესასვლელად. ჩვენ რა გვემართება, რისთვის და ვისთვის ვხმაურობთ?

პარლამენტის დარბაზში ხმაურთან დაკავშირებით გამართულ ერთ-ერთ სხდომაზე მე წარვადგინე თანამედროვე ბიოსამედიცინო კვლევის შედეგები, რაც ადასტურებდა ადამიანებზე ხმაურის უარყოფით გავლენას, რომ 60-70 დეციბელის პირობებში აღინიშნება ინსულტისა და ინფარქტის შემთხვევების 25-30 %-თ გაზრდა და სისხლძარღვთა უმძიმესი დაავადებების განვითარება. მიღებული ნორმით მოსახლეობის საცხოვრებელ ბინებთან ახლოს მდებარე რესტორნებიდან გამომავალი ხმაური 30 დეციბელს არ უნდა აღემატებოდეს. სამწუხაროდ, პარლამენტმა არ გაითვალიწინა ჩვენი წინადადებები და მიიღო ისეთი გადაწყვეტილება, რაც საფრთხეს უქმნის ადამიანების ჯანმრთელობას და არღვევს მათ სოციალურ უფლებებს. კერძოდ, დადგენილების თანახმად მოსახლეობამ უნდა დაკეტოს ფანჯრები და ასეთ დახშულ პირობებში უნდა გაზომონ ხმაურის დეციბელები, ეს კი ნიშნავს, რომ ძირძველმა მოსახლეობამ ზამთარ-ზაფხულ უნდა იცხოვრონ უჰაერო დახშულ პირობებში, ხოლო უბნებში ახლად შეჭრილმა რესტორნებმა არ გაითვალიწინონ მოსახლეობაზე აკუსტიკური ტერორიზმის ხმაურით ზემოქმედება.

იქნებ ვიმემ დასვას კითხვა, საიდან მოხვდა ამდენი აგრესიული მენეჯერი, იქნებ მათთვის ტრენინგის ჩატარებაა საჭირო, რომ შეიგნონ, თუ რა დანაშაულს სჩადიან მოსახლეობის წინაში აკუსტიკური ტერორიზმის ხმაურით. იქნებ სწორედ აკუსტიკური ტერორიზმის გავლენითაა განპირობებული ახალგაზრდებს შორის არსებული აგრესიული დამოკიდებულება. ეს ჩემი, როგორც ძველი თბილისელის, მერამდენე წერილია თბილისელების დასაცავად აკუსტიკური ტერორიზმისაგან, მაგრამ არც გამოხმაურება და არც შედეგი არ ჩანს. იქნებ პარლამენტმა შეცვალოს თავისი გადაწყვეტილება და გაითვალისწინოს ბათუმის მერიის გადაწყვეტილება, რომ მოსახლეობის საცხოვრებელ ბინებთან ახლო მდებარე რესტორნებისა და კაფეებიის ხმაური 30 დეციბელს არ უნდა აღემატებოდეს. ალბათ, დროა, ყურადღება გავამახვილოთ აღნიშნულ პრობლემებზე, რათა კიდევ უფრო არ დავაზიანოთ თბილისელების ჯანმრთელობა და ფსიქიკა.

ნუგზარ ალექსიძე,
პროფესორი

წერილები მაგნოლიების ქალაქიდან



1. გაეროს პაქტი, მიგრანტები და ქართული სახელმწიფო

წნევამ ამიწია, როცა საქართველო იმ ქვეყნებს შორის ვნახე, რომლებიც შეუერთდნენ გაეროს გლობალური მიგრაციის პაქტს. პაქტი ითვალისწინებს „ათასობით მიგრანტის მიღებას“.

2018 წლის 10 დეკემბერს მაროკოს ქალაქ მარაკეშში 164-მა ქვეყანამ ხელი მოაწერა შეთანხმებას, რაც 19-თვიანი დებატების შემდეგ მოხდა. აქ მე არ ჩამოვთვლი შეთანხმებაზე ხელმომწერ ქვეყნებს. უფრო საინტერესოა იმ ქვეყნების აღნიშვნა, რომლებმაც პაქტს ხელი არ მოაწერეს, ანუ არ შეუერთდნენ. მათ შორის არიან აშშ, ავსტრალია, ჩილე, უნგრეთი, ჩეხეთი, იტალია, პოლონეთი, ლატვია, სლოვაკეთი და დომინიკის რესპუბლიკა. ჩვენ რა მიზნით „გამოვიჩინეთ“ თავი?

ძალიან კარგად გვახსოვს, სირიელმა მიგრანტებმა როგორ ააყირავეს საათივით აწყობილი და ჩვენზე ათასჯერ ძლიერი და მდიდარი ქვეყანა, როგორიც არის გერმანია. თქვენ წარმოიდგინეთ, ნახევარი მილიონი მიგრანტი თუ შემოვა საქართველოში, ეს იქნება ჩვენი ქვეყნის სრული კატასტროფა. სად არის იმის გარანტია, რომ ნახევარ-მილიონი მიგრანტიდან დიდი ნაწილი ტერორისტი არ იქნება?

მე შეძლებისდაგვარად გავეცანი გაეროს პაქტის ცალკეულ მუხლებს, ზოგი მათგანი ბუნდოვანი და ორაზროვანია. პაქტი ავალდებულებს მიმღებ ქვეყანას მიგრანტების ღირსეული სამუშაო ადგილების შექმნას, საცხოვრებელი ფართითა და სხვა სოციალური პრობლემების მოგვარებას.

ჩემო კარგო ხელისუფლებავ, როგორ უნდა უზრუნველყოთ მიგრანტების დასაქმება, როცა ჩვენი ხალხი უმუშევრობით სულს ღაფავს. მილიონზე მეტი ჩვენი მოქალაქე ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთში გარბის დამამცირებელ სამუშაოზე მოსაწყობად. ჩვენ ჩვენი ქვეყნის შიგნით გვყვანან აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან ბუდემოშლილი ლტოლვილები, რომლებიც უბინაობითა და უმუშევრობით იტანჯებიან. ზოგი ჩვენი ლტოლვილი უცხოეთში გარბის სამუშაოს საძებნელად.

ალბათ, მალე დაიწყება მიგრანტების ნაკადის შემოდინება, რასაც მოჰყვება ჩვენი ხალხის მღელვარება და მიტინგები, მიტინგების დარბევები და ასე შემდეგ.

მოვუწოდებ ქართველ მწერლებს, ხელოვნების სხვა დარგების მოღვაწეებს, კულტურის მუშაკებს, ჩვენს ძვირფას მასწავლებელთა უზარმაზარ არმიას, დროულად ყურად იღონ პრობლემის სიმწვავე და მშვიდობიანი გზით, ჩვენი კონსტიტუციური უფლებიდან გამომდინარე, გააპროტესტონ კარს მომდგარი უბედურება. ტყუილად ჰგონია საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრს, რომ მიგრანტების შემოშვება, ისე, როგორც პაქტი ითვალისწინებს, ხელს შეუწყობს უცხო ქვეყნებში ქართველი მიგრანტების ცხოვრების გაუმჯობესებას. მსგავსი ზღაპრები ათასჯერ მოგვისმენია და ახლა ამას ქართველი ხალხი აღარ ჭამს. მიგრანტთა შემოდინება ჩვენი ქვეყნის ტრაგიკული საფრთხე რომ არის, იმითაც დასტურდება, რომ ნაცების ყველა ჯურის ოპოზიციამ ამ პრობლემას წაუყრუა და თავი ისე უჭირავთ, თითქოს არაფერი სმენიათ.

ამ საკითხზე სასაუბროდ ვიწვევ ბატონ ზალკალიანს საპატრიარქოს და ობიექტივის ტელეარხებზე.

2. ეპისტოლე საქართველოს პრეზიდენტს სალომე ზურაბიშვილს

ქალბატონო სალომე!

მოგესალმებით მაგნოლიებისა და ზღვის ქალაქიდან, გისურვებთ თქვენი საპრეზიდენტო პროგრამის მაქსიმუმის შესრულებას, მზად ვარ, მხარში ვედგე ყველას, ვინც საქართველოსთვის კურთხეულ ნაბიჯს გადადგამს. შეშფოთებული ვართ ნაცების აღვირახსნილი და დესტრუქტიული ქმედებებით. რაკი მათი „ვენესუელის სცენარი“ ჩავარდა და ვერ შექმნეს ორხელისუფლებიანობის პრეცედენტი (მათი ჭკუით, ბატონი გ.ვაშაძე აკურთხეს პრეზიდენტად), ახლა მაოხარი მკვდარი უცხოეთში ქართველ ემიგრანტებს დაერია და ფულის აკრება დაიწყო. ამჯერად მინდა, ეს თემა გვერდით გადავდო და იმის შესახებ მოგახსენოთ, რამაც ხელში კალამი ამაღებინა.

სამწუხაროა, რომ ჩვენი ტელეარხების საინფორმაციული გამოშვებები თითქმის ყოველდღე იწყება, როგორც გალაკტიონი იტყოდა, ფანტასტიკური მკვლელობებით.

თავის დროზე, როცა განიხილებოდა სიკვდილით დასჯის გაუქმება, გამომდინარე ჩემი ჰუმანური სულისკვეთებიდან, პოეტი სხვანაირი ვერ იქნება, მეც დავუჭირე მხარი ამ კონსტიტუციურ ცვლილებას. აღმოჩნდა, რომ ეს ჩვენი საზოგადოების ჰუმანურობისაკენ გადადგმული ნაბიჯი ანტიჰუმანური უფროა, ვიდრე ჰუმანური. გირგვლიანის მკვლელობამ და მისმა სასამართლო პროცესმა დამარწმუნა, რომ ჩვენი მექანონე მოსამართლეების ხელში ეს საკონსტიტუციო ცვლილება „სიკვდილის იარაღი“ გამოდგა. დამამძიმებელი გარემოებებით, განზრახ მკვლელობა, რომელიც პოლიციის მაღალჩინოსნებმა ჩაიდინეს, მკვლელების შვიდი წლის პატიმრობით დასრულდა, რომლებიც მალევე შეიწყალა მაშინდელმა პრეზიდენტმა. აქედან მოკიდებული აღზევდა დაუსჯელობის სინდრომი და თითქმის ყოველდღე მოწმენი ვართ საზარელი დანაშაულის. როგორც ვხედავთ, სიკვდილით დასჯა გარკვეული შემაკავებელი ფაქტორი ყოფილა, ეს კანონი ახლაც მოქმედებს ჩვენზე უფრო დემოკრატიულ ქვეყნებში. აშშ-ის ზოგიერთ შტატში მოქმედებს სიკვდილით დასჯის კანონი. ყოველივე ეს, თქვენ, როგორც გამოცდილ დიპლომატს, ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ.

ვფიქრობ, ჩვენშიც საჭიროებს ამ კანონმდებლობის გადახედვა. ჩემი აზრით და არა მარტო ჩემი, დამამძიმებელ გარემოებებში განზრახ მკვლელობას უნდა შეეფარდოს სიკვდილით დასჯა. მიმაჩნია, რომ ეს 50 პროცენტით, მეტით თუ არა, შეამცირებს მკვლელობებს.

დამერწმუნეთ, რომ ჩვენ, მცირერიცხოვან ერს, არ გვყავს მოსაკლავად გასამეტებელი შვილები.

იქნებ დროა სიკვდილით დასჯის კანონის ინიცირება. ამას რომ ვწერ, ხელი მიცახცახებს, მაგრამ ყოველდღიურად მკვლელობების ცნობებს მტერმა უსმინოს. ამან ამაღებინა ხელში კალამი.

ფარავდეს ღმერთი ყველა ქართველს შინ და გარეთ!

3. ეპისტოლე განათლების მინისტრს მიხეილ ბატიაშვილს

ბატონო მიხეილ!

თქვენმა ბოლოდროინდელმა გადაწყვეტილებამ იმედი ჩამისახა. სააკაშვილისა და ლომაია-გვარამიაშაშკინის ე.წ. „რეფორმამ“ ჩაკლა ჩვენი განათლების სისტემა. მისი მკვლელობა გააგრძელა მარგველაშვილსანიკიძე-ჯეჯელავა-ჩხენკელის ანტიეროვნულმა მიმართულებამ. ჯეჯელავამ თავი დაგვამახსოვრა, როგორც ვაშლებისა და 15 ათასი მაიმუნის მინისტრმა, ხოლო მარგველაშვილის ხელდასხმულმა თამარ სანიკიძემ გენიალური რუსთაველის საიუბილეო (850) წელს, აჭარაში ერთ-ერთ სახელოვან სკოლას გადაარქვა პოეტის სახელი. სამწუხაროდ, ეს ძველთაძველი კი არა, ჩვენი გუშინდელი დღეა.

ჯერ კიდევ ლომაია-შაშკინის დროს ვწერდი, რომ ეროვნული გამოცდებში „უნარების“ შემოღება დანაშაულია! ეს იგივეა, კროსვორდებისა და რებუსების ამოსახსნელი გამოცდა რომ შემოვიღოთ. მსგავსი ტესტები უნდა მოვუწყოთ მინისტრობისა და დეპუტატობის კანდიდატებს. „უნარების“ შემოღებამ ბავშვები მოწყვიტა ძირითად დისციპლინებს. რაც შეეხება ბავშვებს, უუნაროებსა და ნაკლებუნარიანებს, ხელი კი არ უნდა ვკრათ, რაც დანაშაულის ტოლფასია, სჯობს დავეხმაროთ სირთულეების დაძლევაში. 3 თებერვალს ღამის გამოშვებაში გვარამია და გოგუაძე ჩვენს გამოჩენილ პედაგოგებს, მათი ჭკუით, გოგებაშვილსაც კი უტარებდნენ გაკვეთილებს. შევახსენებ მკითხველს, რომ ხსენებული ყოფილი მინისტრების ბრიყვულმა და დამანგრეველმა „რეფორმამ“ მიწასთან გაასწორა საათივით აწყობილი განათლების სისტემა, რომელიც ევროპული, ანუ ანგლო-საქსური იყო. რაკი ნაცების დამანგრეველი „რეფორმა“ გაიშიფრა, რომლითაც წლების მანძილზე ატერორებდნენ პედაგოგებსა და მოსწავლე ახალგაზრდობას, „უნარების“ რეპეტიტორები და მათი ლობისტები აყეფდნენ „რუსთავი-2“-ის ეთერში.

ბატონო მიხეილ, სად იყვნენ მაშინ შაშკინ-მაშკინები და ბოკერია-მოკერიები, მათი მომხრეები, როცა სააკაშვილის დავალებით ხმარებიდან ამოიღეს იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“, რომელიც საუკეთესოა მსოფლიოში. სასწრაფოდ აღსადგენია სკოლებში ქართული ენა, როგორც დამოუკიდებელი სასწავლო დისციპლინა. სასწრაფოდ გასაუქმებელია მეთორმეტე კლასი. იგი ზედმეტი და უსარგებლო ტვირთია ჩვენი გაჭირვებული მოსახლეობისათვის. 17-18 წლის გოგონები თხოვდებიან, ვაჟები – ჯარში მიდიან. თუ წარმოგიდგენიათ ფეხმძიმე მოსწავლე სკოლის მერხზე? **ტყუილად ჰგონია გვარამიას, რომ ქართულ ენაში გამოცდა საჭირო არ არის მათემატიკის სპეციალობაზე. პირიქით კია, ქართული ენისა და საერთოდ ჰუმანიტარულ სპეციალობებზე არ არის საჭირო გამოცდა მათემატიკაში. იტალიის კონსერვატორიებში ჯერ იტალიურ ენაში ატარებენ გამოცდას და შემდეგ აქ წარმატებულ აბიტურიენტთა შორის არჩევენ მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებულთ. ქართული ენა უნდა ჩაბარდეს ყველა სპეციალობაზე. სასწრაფოდ აღსადგენია შეფასების ხუთბალიანი სისტემა. ასბალიანი შეფასების შემოღებამ სრული ქაოსი შექმნა. სააკაშვილის მინისტრები ლოტოტრონით ნიშნავდნენ სკოლების დირექტორებს. რა შედეგიც მივიღეთ, ყველასათვის ნათელია. დიდი სიბრიყვე იყო ასევე სააკაშვილის მიერ უცხოელი „პედაგოგების“ შემოყვანა. ახლა უცხოეთიდან ლაყბობს, უცხოელი მოსამართლეები შემოვიყვანოთო.**

ჩვენი განათლების სისტემა უნდა გაიწმინდოს ნაცების ანტიქართული იდეოლოგიისაგან და ეს კადრებით უნდა დაიწყოს.

სკოლის დირექტორების 70 პროცენტი ნაცებია, რომლებიც ოცნებობენ სააკაშვილის დაბრუნებაზე.

მე ახლაც არ ვიცი, რამდენი თეთრი იხარჯება განათლებაში ერთ სულზე? დროა, მასწავლებლის ხელფასი განისაზღვროს მინისტრის ხელფასის 25 პროცენტით. საბჭოთა საქართველოში მინისტრის ხელფასი 250 მანეთი იყო, ხოლო ბათუმის პედინსტიტუტის დოცენტი 350 მანეთს იღებდა. კრიტიკასაც აღარ ექვემდებარება მოსწავლეთა სახელმძღვანელოები. ჯერ იყო და მეცნიერებათა დოქტორებს გაუთანაბრეს მეცნიერებათა კანდიდატები და აკადემიური დოქტორები, კონკურსიდან უმოწყალოდ ყრიდნენ ღირსეულ პროფესორებს. და მათ ადგილს ლაბორანტებსა და ახლად გამოჩეკილ კანდიდატებს აძლევდნენ, მათ შორის ისეთებსაც, სტუდენტები ლექციაზე რომ არ უშვებდნენ. სასწრაფოდ გასაუქმებელია მეცნიერებათა კანდიდატების და აკადემიური დოქტორების მეცნიერებათა დოქტორებთან გათანაბრება. ძალიან მაღალი დონის სპეციალისტებს ზრდიდა ჯავახიშვილის უნივერსიტეტი, პოლიტექნიკური ინსტიტუტი, ქუთაისის, გორის, ბათუმის პედაგოგური ინსტიტუტები, უცხო ენათა ინსტიტუტი და სხვა. დაანგრიეს და მიწასთან გაასწორეს პროფტექნიკური სასწავლებლები, რომლებიც ბრწყინვალე სპეციალისტებს აწვდიდნენ საყოფაცხოვრებო ობიექტებს. აღსადგენია მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტები. ნუთუ მართლა რეფორმა ჰგონია ვინმეს „დოცენტის“ გადაკეთება „ასოცირებულ პროფესორად“. აქ ჩემი ფიქრით, „ასოცირებული“ შეურაცხმყოფელიც კია. შეწყდეს სტაჟიანი და პრაქტიკოსი პედაგოგების ყოველწლიურად გამოცდებითა და ლიცენზირებით დატერორება. მასწავლებლებს, ვისაც აქვს სახელმწიფო კომისიის მიერ მინიჭებული კვალიფიკაცია და სახელმწიფო დიპლომი, მისი ხელახალი გამოცდა დანაშაულია.

საქართველო ორ ბურჯზე დგას. ესენია მასწავლებელი და მეწარმე. ღმერთმა ნუ ქნას, რომ რომელიმე გამოეშალოს, რაზეც ოცნებობენ ჩვენი შინაური და გარეშე მტრები.

ამას ღმერთმა ნუ მომასწროს!

შოთა ზოიძე,
მწერალი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი.

(გაგრძელება იქნება)

„კლეოპატრა“

„ცხოვრებაში ყოველივეს ვერ იხილავ, ზოგიერთი შენ კი იხილავს“

ამბები ელისაბედ ტეილორის მონაწილეობით

ასე ამბობდა ელისაბედ ტეილორი

ქართულად გადმოაენა **გურამ გოგიაშვილმა**

ელისაბედ ტეილორის სახალხო სიყვარული

ამ ამბავზე, რომელიც მომვლელ ქალთან საუბარს ეხება, ელისაბედ ტეილორი ამბობდა: „გუშინ მთელი დღე სიცილისგან მუცელი ხელით მეჭირაო“. მსახიობმა ჰკითხა მომვლელ ქალს, ჩემი მონაწილეობით რომელიმე როლი თუ იცი.

– როგორ თუ არ ვიცი! კლეოპატრა შენ არა ხარ?!

– კიდევ? მე იმისთვის ხომ არ მიმიღია ჩემი „ოსკარები“, – განაგრძობდა ელისაბედი.

– რასაკვირველია, ვიცი! რა ჰქვია... მგონი... „ბატერფლიაი“, მე არ მინახავს.

– „ბატერფილდი-8“...

– ჰო, ეგრეა. აი, თქვენი ვირჯინია კი კარგად მახსოვს. ხნიერი ფეთხუმია და სულ მთვრალი მეაყალმაყალესავით იქცევა.

– მაგ ფილმს „ვის ეშინია ვირჯინია ვულფის?“ ჰქვია.

– დიახ, თქვენს ვირჯინიას როლზე ვამბობ. მართლა კარგად ითამაშეთ ის ვულფი, იმდენად დამაჯერებლად, თითქოს მთელი თქვენი ცხოვრება გელოთოთ! მაპატიეთ, თუ შეიძლება...

ელისაბედი სახეზე ღიმილმოფენილი იგონებდა: „ჯერ ერთი, იმიტომ ვიცინოდი, რომ მართლაც თითქმის მთელი ჩემი ცხოვრება ვსვამდი, მეორეც, იმიტომ, რომ გმირ ქალს ფილმში მართა ჰქვია. ამ კითხვით სხვათაც მივმართავდი და მივხვდი, რომ პრაქტიკულად, სუყველა ფიქრობდა, ვირჯინია ვულფს ვთამაშობდი. მართა ცოტა ვინმეს თუ ახსოვდა“.

ფრენკ ფარელი და ელისაბედ ტეილორი

ფრენკ ფარელი (მსახიობი) ელისაბედ ტეილორის ახლობელი იყო და ჰყვებოდა, რომ ელისაბედს ძალიან ჰყვარებია ანცობა. ერთხელ ნიუ-იორკში ერთად მოხვედრილან და სტუმრად წასულან წვეულებაზე, რომლის მერეც მეჯლისი უნდა გამართულიყო და რომელსაც როკფელერების ოჯახი აწყობდა. ფარელისა და ტეილორს თითო სირჩა აუღიათ და ასე შესულან დარბაზში.

უცებ ელისაბედთან დიასახლისი მისულა და უკითხავს, რის დალევას ისურვებდითო.

– უი, მე არა ვსვამ, – უთქვამს ტეილორს, – მაგრამ საღეჭ რეზინაზე უარს არ ვიტყოდიო.

– ძალიან ვწუხვარ, მის ტეილორ, მაგრამ ჩემს სახლში რეზინის ღეჭვის უფლებას არავის ვაძლევო, – მიუგია დიასახლისს.

ასეთი მომენტები ელისაბედს თურმე უკიდურესად სასაცილოდ მიაჩნდა და უყვარდა, როცა ადამიანებს მოულოდნელად მორიგი გამოხდომით სახტად დატოვებდა.

„პოლივუდის დედოფლის“ ვარსკვლავური დიეტა

ელისაბედი ჰგონებდა, რომ სასაცილო რამ ხდება ჩვენთვის ყოვლის უფრო მოულოდნელ ვითარებაში. როგორც ზემოთ უკვე ითქვა, ელისაბედ ტეილორის ცხოვრებაში იყო პერიოდები, როცა ის დაუჯერებელი ძალისხმევით იხდუნებდა თავს და როს სასურველ შედეგს აღწევდა, ტაბლოიდები ნაირ-ნაირი სათაურებით აჭრელდებოდნენ ხოლმე – ეს სულ სოლიტერების ბრალიაო! პრესა აქვეყნებდა წერილებს: ელისაბედი სპეციალურად ყლაპავს გლისტებს, რათა იმათ, ზომაში გადიდებულთ, ყველაფერი შეუსანსლონ ორგანიზმში, რაც კი რამ ვარსკვლავს ვახშმად მიურთმევიაო!

ელისაბედი კი ამბობდა: „ღმერთო ჩემო, ის კი არა, თავს ახლაც ძლივს ვიჭერ, რომ გუშინდელი სადილი არ ამოვანთხიო.

მაშინ კი იმიტომ გავხდი, რომ ჩემი მოხსენიებული ზღაპრის წაკითხვის შემდეგ ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდი, გლისტის კი არა, ლუკმის ჩაყლაპვის თავი არა მქონდაო. ვერ არიან ეგენი კარგად, სხვა არა მინდა რა, ნეტავი ერთი მაგათ გლისტები უკანა ტანში გასჩენიათო!“

სინამდვილეში, „ვირჯინია ვულფის“ შემდეგ „ჰოლივუდის დედოფლისთვის“ საჭირო გახდა სასწრაფოდ წონის დაკლება, რადგან მითითებული ფილმის გმირი ქალი ტანმოხდენილი იყო. ტეილორი იხსენებდა, ზედმეტ წონას დიეტითა და ვარჯიშით ვებრძოდი და არა სწორ ნაწლავში გლისტების შეყვანით. უკან ტანში ქარსოკოც მეყოფაო.

ელისაბედის ჯერ კიდევ ქმარმა რიჩარდ ბარტონმა ძლივს გადააფიქრებინა ცოლს გაზეთში ასეთი შინაარსის დეპეშის გაგზავნა: „ბატონებო, გლისტები უკვე შემეშვნენ, ამჯერად რას მირჩევთ?“

ელისაბედ ტეილორი და არისტოტელე ონასისი

როგორც ადრე ითქვა, ბერძენი მილიარდერი არისტოტელე ონასისი და რიჩარდ ბარტონი კარგა ხანს ერთმანეთის კონკურენტები იყვნენ ფრიად ძვირფასი და ორიგინალური სამკაულების მხრივ, რომელი სამკაულებიც ოდესმე გამოუფენიათ საჯარო ვაჭრობით გასაყიდად, ამ ვაჭრობაში უმეტესწილად ბარტონი იგებდა, რაც დიდად ახარებდა მსახიობს.

ელისაბედ ტეილორი იგონებდა: „ერთხელ ონასისმა შემომჩივლა, ჯეკი ძალიან ბევრს ხარჯავს, მაგრამ ამასთანავე ჩვეულებრივ დიასახლისად გამოიყურებაო. თვით უძვირფასესი ყელსაბამიც კი იმის ყელზე ნაყალბევსა ჰგავსო“.

არისტოტელე ონასისთან ერთად

ამ დროს ტეილორი თითზე „კრუპის“ ბეჭედს იწვალებდა (მსოფლიოში ყველაზე დიდ ბრილიანტს). ონასისმა რამდენჯერმე თვალი გააპარა ბეჭდისკენ და ჰკითხა, ეგ ნამდვილი ბრილიანტიაო? ელისაბედმა უპასუხა – მე ნაყალბევს მხოლოდ გადაღების დროს ვიკეთებო...

– ელისაბედ, შენს ხელებსა და ყელზე ნაყალბევიც მილიონიანად გამოჩნდება, ჩემი ჯეკის ხელებსა და ყელზე კი, პირიქით...

ლეონარდო მოსლი და „პოლივუდის დედოფალი“

ერთხელ ელისაბედ ტეილორი კანში იმყოფებოდა და თავისი საქციელით პირდაპირ გააოცა ბრიტანელი ჟურნალისტი ლეონარდო მოსლი. ელისაბედმა გადაწყვიტა, საფერფლე ესროლა დინამიკისთვის, საიდანაც „დედამიწის გარშემო 80 დღე“ ფილმისთვის შექმნილი მელოდიის ფრანგული ვერსია ისმოდა.

– როდის დაიწყებ, ლეონარდ, ჩემი ბიოგრაფიის წერას? – შეეკითხა ელისაბედი, – იცი, რითი მინდა, რომ დაიწყო? აი, ასე: „დილის 4 საათზე ერთ ყოვლად უვარგის ბარში ფრანგულ რივიერაზე რადიოდან ისმოდა მელოდია „80 დღიდან“. უცებ ტეილორმა იგრძნო, რომ ირგვლივ ყველაფერმა თავი მოაბეზრა – ხალხმაც, კინომაც და, რაც მთავარია, თვითონვე მობეზრდა თავისი თავი“.

– ჩვენ რა, ტრაგედიის პირველ თავს ვწერთ?“ – ჰკითხა მოსლიმ. – იცი რა, შენ მართალი ხარ, ღმერთმანი, – შენიშნა ელისაბედმა. – სახელწოდება კი ასეთი აჯობებს: „მე მხოლოდ ოცდახუთი წლისა ვარ და სიცოცხლე აღარ მინდა“.

ელისაბედ ტეილორის სამწიგნობრო

ედი ფიშერი და ელისაბედი ლონდონში რომ იყვნენ, იქიდან პარიზში წავიდნენ დიორთან საყიდლებისთვის. იქვე ედიმ ელისაბედს ივ სენ-ლორანის ნახელკეთილარი ცხრა კაბა მიართვა, ტეილორმა კი ქმარს ავტომობილი „იაგუარი“ უყიდა.

როცა მეუღლეებმა გადაწყვიტეს თავიანთი ცოლქმრული კავშირის ექვსი თვის იუბილეს აღნიშვნა, ედიმ უსაჩუქრა მეუღლეს წაულის ქურქი, სამაგიეროდ, თვითონ ცოლისგან იჩუქა ოქროს საკინძეები, ბრილიანტებით შემკული და ასოებამოკვეთილი: „მიყვარხარ და უშენოდ არ შემიძლია ჩემი სიცოცხლის დასასრულამდე“.

გულაჩუყებულმა ედიმ გადაწყვიტა ტეილორის მონაწილეობით გადაღებული ყველა ფილმის ერთად თავმოყრილი ტყავით შეკაზმული წიგნების ჩუქება.

– მან მაჩუქა ყველა ჩემი მონაწილეობით გადაღებული ფილმების შემცველი ოცდაათწიგნიანი ნაკრები, – ამბობდა ელისაბედი.

სუყოველი წიგნი შედგებოდა სცენარისგან და ფილმის ოცფოტოიანი კადრებისგან. ყოველივე ეს ლავანდის ფერის ტყავით იყო შეკაზმული. სათაურები ყდაზე ოქროს ნატვიფრით ბრწყინავდნენ. სუყოველ წიგნს ლავანდისფერი სანიშნი ახლდა წარწერით: „ჩემს სიცოცხლეს, ჩემს საყვარელ ცოლს ელისაბედს, ტრფიალით ედი“.

ასეთი სამწიგნობროს შედგენას რამდენიმე თვე და დიდძალი, უდანდარი ფული მოუნდა, რამეთუ თითოეული წიგნი ხელოვნების შედევრი იყო.

როგორ გაეცნო ბარტონი ელისაბედს

პირველად ელისაბედი და ბარტონი „კლეოპატრას“ გადასაღებ მოედანზე შეხვდნენ. რიჩარდი მივიდა ელისაბედთან და მოულოდნელად ყურში ჩასჩურჩულა – კუდრაჭავ, ცოტა შესუქებული ხარ, თუმცა სახეზე სულაც არ გემჩნევა!

სახტად დარჩენილმა ტეილორმა გადაიკისკისა, რამდენიმე ხანში ფიქრიანად უთხრა გრიმიორს: „მგონი, თავი შემაყვარა ამ მოურიდებელმა ჭაბუკმა“.

თვითონ რიჩარდი აგრე იგონებდა თავიანთ პირველ შეხვედრას: „ელისაბედი იმდენად ლამაზი იყო, რომ ერთი წუთიც და, სიცილი ამიტყდებოდა. ტეილორისთანა საოცარი და თვალწარმტაცი ქალი ჯერ არ მენახა. როგორც შავი რამ ხვრელი, ისე მისრუტავდა. თვითონ კი თავი ისე ეჭირა, თითქოს ფეხებზე ვეკიდე“.

აღსანიშნავია რომ ფერისმჭამელებიანი სახე სულაც არ უშლიდა რიჩარდ ბარტონს ხელს, რომ ბევრ ქალს მოსწონებოდა. თავდაჯერებულ და ვაჟკაცურ, საჭიროებისდა მიხედვით „თავხელმარტო ობლად“ გარდასახულიყო, რომელსაც ალერსი და დასულფონება ეჭირვებოდა.

„კლეოპატრას“ ცრემლები

რამდენადაც ელისაბედ ტეილორს ცხოვრებაში სხვადასხვა ტემპერამენტის მამაკაცები ხვდებოდნენ, ამიტომ „კლეოპატრას“ ოჯახური ცხოვრება ემოციებით იყო დატვირთული. შეყვარებულ ქალზე სულელი ქვეყანაზე არავინ არ მეგულებაო, ამბობდა ელისაბედი. ასეთ ქალს, იმისი აზრით, თვალის ჩალურჯების პატიებაც შეუძლია და ნამდვილი ღალატიც.

ტეილორს თუ უყვარდა, მაშასადამე, შეუვალი იყო. „კლეოპატრა“ განიკითხავდა და კიცხავდა ვატიკანს თავის პოლიტიკურ მოღვაწეებიანად, რის გამოც „ყვითელი პრესა“ ჭორის აბლაბუდაში ხვევდა, უბრალო ადამიანები კი ისევ იმისი შემოქმედების თაყვანისმცემლებად რჩებოდნენ.

ტეილორი ამბობდა: „მე ამას მივხვდი, კლეოპატრას რომში შესვლის სცენას როცა ვიღებდით, აქ უზარმაზარი მასობრივი სცენა იყო და სამოსელი ხომ ძლივს ეტეოდა“.

ელისაბედს ასეთი სცენის შიში ჰქონდა, ვინაიდან ბრბოს წინაშე მარტოდმარტო რჩებოდა. ეს ის პერიოდი იყო, როცა ელისაბედს სიკვდილითაც კი ემუქრებოდნენ, როგორც ოჯახის დამანგრეველს ბარტონთან რომანის გულისთვის.

(გაგრძელება იქნება)

რიჩარ ბარტონთან ერთად

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №31-32, 35, 37-38

ყირიმი დღეს: დაპატიმრებები დილის 5 საათზე

თებერვალში ყირიმის ანექსიიდან 5 წელი შესრულდა. რა მდგომარეობაა დღეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე? უკრაინელმა ექსპერტებმა დღეს ამ თემაზე რონდელის ფონდში ისაუბრეს.

„დარწმუნებულები ვართ, 2008 წელს საერთაშორისო საზოგადოებას უფრო ადეკვატური რეაქცია რომ ჰქონოდა (რუსეთის შემოჭრაზე საქართველოში), რუსეთი ყირიმში შემოსვლას ვეღარ გაბედავდა. ძალიან მკაცრი სანქციებისა და, უშუალოდ პუტინის მიმართ ძალიან მკაცრი დამოკიდებულების გარეშე ეს საკითხი არ გადაწყდება“, — ამბობს ყირიმის თათართა მეჯლისის თავმჯდომარე ახტემ ჩიგოზი, რომელიც რონდელის ფონდის მოწვევით საქართველოში იმყოფება.

მრგვალი მაგიდა „უკრაინისა და საქართველოს დეოკუპაცია: სახელმწიფოს, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების როლი“ შეეხო იმ თემებსა და საფრთხეებს, რომლებიც უკრაინასა და საქართველოს საერთო აქვთ.

რა ხდება ყირიმში დღეს?

ყირიმში ხუმრობენ, რომ ღამე კარის ღიად დატოვება ჯობს, რომ არ შემოამტვრიონ. ახტემ ჩიგოზი ყვება, რომ ოკუპანტებს — კერძოდ, უშიშროების სამსახურის თანამშრომლებს — წესად აქვთ სახლებში დილის 5 სათზე შევარდნა და ხალხის დაპატიმრება. წაყვანამდე მათ სცემენ ბავშვებისა და მოხუცების თვალწინ.

„ეს ყველაფერი ძალიან ჰგავს 1944 წლის მოვლენებს, როდესაც ქალებსა და ბავშვებს ვაგონებში ყრიდნენ და სამშობლოდან შორს, აზიაში ასახლებდნენ.

ტერორი მიმართულია იმისკენ, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ ტერიტორია დატოვოს. მიუხედავად ამისა, მხოლოდ 5 000 ადამიანი წავიდა ყირიმიდან“, — ამბობს ჩიგოზი.

დემოგრაფიული მდგომარეობა ყირიმში მაინც იცვლება. შეხვედრაზე ითქვა, რომ რუსეთიდან ყირიმში, არაოფიციალურად, მილიონი ადამიანია გადმოსახლებული. თუმცა თავად რუსეთი მხოლოდ 300 000-ს ასახელებს. ჩნდება ახალი დასახლებები, სამხედრო ბაზები.

* * *

უფლებადამცველ **აბდურეშიტ ჯეფაროვის შვილი და დისშვილი 2014 წელს პირდაპირ ქუჩიდან გაიტაცეს.** შეხვედრაზე ჯეფაროვმა თქვა, რომ მათი ბედი დღემდე უცნობია და, საერთოდ, ადამიანების გატაცება ოკუპირებულ ტერიტორიაზე ისეთივე ჩვეულებრივ ამბად ითვლება, როგორც პოლიტიკური პატიმრები, რომელთა რიცხვმაც 100-ს გადააჭარბა.

„ბოლო სამი კვირის განმავლობაში 3 კაცი დააპატიმრეს, 21, 22 და 23 წლის ახალგაზრდები. როცა გაიტაცეს, ჩემი შვილიც 18 წლის იყო, დისშვილი კი 23-ის. ვეკითხები, ცოცხლები თუ არიან-მეთქი, და მხრებს იჩეჩავენ“, — ამბობს ჯეფაროვი.

ექსპერტების თქმით, გატაცებულთა რაოდენობა 40-ზე მეტია. რამდენიმე მათგანი მხეცურად მოკლული იპოვეს, დანარჩენების შესახებ დღემდე არაფერია ცნობილი.

რა ვუყოთ რუსეთს?

„რა შეგვიძლია? თუ პუტინის რეჟიმი არ შეჩერდა, ეს მუდმივად გაგრძელდება. ჩვენ საერთო ის გვაქვს, რომ ამ საფრთხეს თქვენც გრძნობთ. უნდა გავაგრძელოთ ზეწოლა, მათ შორის ეკონომიკური სანქციები. აფხაზეთი და ცხინვალი საქართველოა, ყირიმი — უკრაინა“, — ამბობს უკრაინის ელჩი საქართველოში იჰორ დოლჰოვი.

ექსპერტები აღნიშნავენ, რომ ცდილობენ ყირიმში მოსახლეობა ადგილზე დარჩეს და ოკუპაციას სხვადასხვა მშვიდობიანი მეთოდებით შეეწინააღმდეგოს. ერთი ასეთი გზა არის არჩევნები, რისი მეშვეობითაც რუსეთს სურს ყირიმში ძალაუფლება გაიმყაროს, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობის 50-60 პროცესი არჩევნებში მონაწილეობას არ იღებს.

შეხვედრაზე ითქვა, რომ დღეს რუსეთი ცდილობს საერთაშორისო შეხვედრებზე ყირიმის თემას თავი აარიდოს, მაგრამ, უკრაინის მთავრობის ძალისხმევით, ამ საკითხს მაინც განიხილავენ.

რა ვუყოთ რუსეთს? უკრაინისა და საქართველოს დეოკუპაციაზე მსჯელობისას ყველაზე ხშირად სწორედ ეს შეკითხვა დაისვა. რუსეთის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი ვლადიმირ ოგრიზკო ამბობს, რომ თავად სამ გამოსავალს ხედავს:

პირველი, დავეხმაროთ რუსეთის საზოგადოებას შეიცვალოს.

მეორე, სანქციები, რომლებიც მართლაც მტკივნეული იქნება.

მესამე, ამასთან, ყველაზე ნაკლებად ოპტიმისტური — დავუცადოთ ახალ თაობას.

თეა თუთბერიძე

კადიროვის გავლენები საქართველოში

„არის ინტერესი და არის პოტენციალიც“

კავკასიოლოგი გიორგი კანაშვილი ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენების ფონზე „ქართული ოცნების“ მიერ „ჩრდილოეთ კავკასიური პოლიტიკის გაუქმებას“ დიდ შეცდომად მიიჩნევს.

კავკასიოლოგმა თავისი „ფეისბუქ“-სტატუსით საზოგადოების ყურადღების გამახვილება რამდენიმე მოვლენაზე სცადა:

ჩეჩნეთ-ინგუშეთისა და ჩეჩნეთ-დაღესტნის საზღვრების დემარკაცია, როგორც ჩანს, ორივე შემთხვევაში საკითხი ჩეჩნეთის სასარგებლოდ გადაწყდება;

კადიროვის ემისრები პანკისშიც გამოჩნდებიან ხოლმე. როგორც ჩანს, გროზნოში პანკისზეც ფიქრობენ.

„აქცენტთან“ საუბრისას **კანაშვილი** კადიროვის მმართველობაში რამდენიმე მნიშვნელოვან ეტაპს გამოჰყოფს:

უშუალოდ ჩეჩნეთში წინააღმდეგობის მოძრაობის ჩახშობა, მეამბოხეების ფიზიკური განადგურება და ძალადობის ბერკეტების სრული მონოპოლიზაცია, ანუ ჩეჩნეთზე კონტროლის დამყარება, რა თქმა უნდა, კრემლის მხარდაჭერით;

ისევ ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით რესპუბლიკის ინფრასტრუქტურის გამართვა, მიწასთან გასწორებული გროზნოს თავიდან აშენება;

მესამე ეტაპი, რომელიც პირველი ორისგან სრულიად იზოლირებული არ ყოფილა, ძირითადად კადიროვის და მამამისის (ახმედ კადიროვი — ჩეჩნეთის რესპუბლიკის ყოფილი ლიდერი) კულტის დანერგვას ეძღვნებოდა. მთელი რესპუბლიკის მასშტაბით ვიზუალურადაც, ყოველ მეორე სახლზე დაინახავთ მამაშვილ კადიროვის სურათებს, პუტინის სურათთან ერთად. გაიხსნა ახმად კადიროვის მუზეუმი და ა.შ. ანუ, მოსახლეობის იდეოლოგიური დამუშავება ჩეჩნეთში სრული მასშტაბით მიდის.

* * *

„საძმე ისაა, რომ როგორც სამხრეთ, ისე ჩრდილოთ კავკასიაშიც მრავალადაა ე.წ. საკამათო ტერიტორიები; მეზობელ ერებს ხშირად რადიკალურად განსხვავებული წარმოდგენა აქვთ ამა თუ იმ მიწის კუთვნილებაზე. ამ მხრივ არც აღმოსავლეთ ჩრდილოეთ კავკასიაა გამორჩეული — ჩეჩნებს, ინგუშებს და დაღესტნელებს გარკვეულ ტერიტორიებთან მიმართებაში საკუთარი პრეტენზიები გააჩნიათ. საბჭოთა კავშირის დაშლის დროს და მას შემდეგ, გახსოვთ, შეუთავსებელი პოზიციების ქონა შეიარაღებულ კონფლიქტებში გადაიზარდა, მაგალითად ინგუშურ-ოსურში, ჩეჩნურ-რუსულში და ა.შ. ახლა დაიწყო რუსეთის ფედერაციის სუბიექტებს შორის საზღვრების გამიჯვნა და დღემდე არსებულმა საკამათო საკითხებმა კვლავ თავი იჩინა. თუმცა, როგორც სავარაუდო იყო, კადიროვის პოლიტიკური წონის გამო დაღესტანთან და ინგუშეთთან არსებული საკამათო საკითხები ჩეჩნეთის სასარგებლოდ წყდება. ყოველ შემთხვევაში, ამ ეტაპზე ასე ჩანს“, — ამბობს კავკასიოლოგი.

მისივე შეფასებით, მიწების შეერთების პროცესის ამგვარად დასრულება უაღრესად მნიშვნელოვანია კადიროვის შიდა ლეგიტიმაციისთვის:

„მას ექნება შესაძლებლობა, თქვას, რომ შეძლო ქვეყანაში ომის და ქაოსის დასრულება, რესპუბლიკის ნანგრევებიდან აღდგენა, გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური სტაბილურობის და კეთილდღეობის მოტანა და საკამათო ტერიტორიების შემოერთებაც კი. ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, სერიოზული არგუმენტებია“.

კავკასიოლოგის აზრით, სწორედ ამ კონტექსტშია საყურადღებო კადიროვის პერიოდული დაინტერესება პანკისით.

„პანკისი მუდმივად ხვდება სხვადასხვა მოთამაშეთა ყურადღების ცენტრში. რუსეთს პანკისი აინტერესებს: სურს, რომ სულ მცირე, მას პრობლემას არ უქმნიდეს, ხოლო საუკეთესო შემთხვევაში, ის სამხრეთ კავკასიაში საკუთარი პოლიტიკური თამაშის ნაწილად გამოიყენოს, მაგალითად, საქართველოზე ზეწოლის ბერკეტად. პირდაპირ ამის გაკეთება რთულია, თუმცა კადიროვის მეშვეობით, რომელიც პანკისელების მსგავსად ვაინახია, ეს შეიძლება, ბევრად მარტივი აღმოჩნდეს“, — ამბობს კავკასიოლოგი და კადიროვის ინტერესებზე ამახვილებს ყურადღებას:

„კადიროვის ამბიციები სცდება ჩეჩნეთს და ხშირად ჩრდილოეთ კავკასიასაც კი: მას სურს, იყოს „ყველა ჩეჩენის“ ლიდერი, მფარველი. ის კარგად იაზრებს, რომ პანკისში გავლენის მოპოვების შემთხვევაში კრემლის თვალში მისი „ფასიც“ იზრდება. კერძოდ, მას შეეძლება, თამამად თქვას, რომ საქმეებს არა მხოლოდ ჩრდილოეთ კავკასიაში, არამედ მეზობელ რესპუბლიკებშიც კი აგვარებს“.

როგორც კავკასიოლოგი აღნიშნავს, მართალია, სადღეისოდ კადიროვის გავლენა პანკისის ხეობაში დიდი არაა, ვინაიდან ადგილობრივების უმეტესობის აღქმაში ის „საკუთარი ხალხის მოღალატეა, რომლის ოჯახის ხელითაც რუსეთმა იჩქერიის (ჩეჩნეთის რესპუბლიკა) განადგურება მოახერხა“, თუმცა მომავალში კანაშვილი მსგავს შესაძლებლობას არ გამორიცხავს:

„პანკისში ხვდებიან, რომ კადიროვი არ არის დროებითი მოვლენა, იგი იქცა ფაქტორად პოლიტიკაში და, როგორც ზემოთ ვთქვით, მისი საქმიანობის მასშტაბები გასცდა რესპუბლიკის დონეს. პანკისელები, ისევე, როგორც საქართველოს სხვა მოქალაქეები, განიცდიან ეკონომიკურ სიდუხჭირესაც; სამუშაო მიგრაციის ერთ-ერთი მიმართულება მათთვის მშობლიური ჩეჩნეთიც გახდა. ესეც გავლენის ფაქტორია, ჯერ არასათანადოდ ამუშავებული. ამდენად, კადიროვს ხეობის მიმართ ობიექტური ინტერესი აქვს და არსებობს შესაბამისი პოტენციალიც, ხოლო რეგიონში მისი გავლენის ზრდა ჩვენს ინტერესებში არ შედის“, — ამბობს კანაშვილი და წუხს, რომ „საქართველოს ხელისუფლებამ ჩრდილოეთ კავკასიური პოლიტიკა 2012 წელს რუსეთის მოთხოვნით, ფაქტობრივად გააუქმა“.

არა უმატეს, ხუთისა!

საკმაოდ ბევრი სნეულების დაძლევა ავადმყოფს თავისით, ურეცეპტოდ გასაცემი პრეპარატების მეშვეობით შეუძლია, მაგრამ ყველა სამკურნალო საშუალებაში არსებული ინსტრუქციის მიუხედავად, პაციენტთა საკმაოდ დიდმა ოდენობამ წამლების სწორად მიღება მაინც არ იცის. მაშ, როგორ უნდა ვუმკურნალოთ საკუთარ თავს ისე, რომ ჯანმრთელობას ზიანი არ მივაყენოთ?

უნდა ითქვას, რომ ბევრნი დარწმუნებულნი არიან, რომ ზოგიერთი პრეპარატის მიღება დილაობითაა საჭირო, სხვების – საღამოთი. ისმის კითხვა – რამდენად სწორია ეს?

საქმე ისაა, რომ **თუკი პრეპარატი დღეში ერთხელ უნდა დალიოთ, მაშინ მთავარია, ის ერთსა და იმავე დროს მიიღოთ.** იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს პრეპარატის ეფექტიანობაზე მოქმედი გარკვეული პრინციპული მომენტები, ეს გარემოება ინსტრუქციაშიც აუცილებლადაა აღნიშნული და მის შესახებ მკურნალი ექიმიც გაგაფრთხილებთ. ისე კი **სამკურნალო საშუალებების მიღება უფრო მოსახერხებელია დილაობით,** საუზმის შემდეგ, მით უმეტეს, თუკი ეს გარემოება ინსტრუქციაში საგანგებოდაა აღნიშნული. მაგრამ არის პრეპარატები, მაგალითად ფერმენტული საშუალებები, რომელთა მიღება უშუალოდ ჭამის პროცესშია საჭირო, ვინაიდან საჭიროა მათი საკვებთან შერევა. ამასთან, არიან ისეთი სამკურნალო საშუალებებიც, მაგალითად, პრობიოტიკები, რომელთაც უზმოზე მიღება, კერძოდ, ჭამამდე არანაკლებ ერთი საათით ადრე, ანდა ჭამის შემდეგ, სულ მცირე ორი საათის შემდეგ. უნდა. ყველაფერი ეს ინსტრუქციებშია აღნიშნული.

მაგრამ, როგორაა საქმე, როცა პაციენტი ერთბაშად რამდენიმე პრეპარატს იღებს: საჭიროა თუ არა მათ შორის გარკვეული დროის დაცდა?

ამასთან დაკავშირებით, მედიკოსები გვახსენებენ, რომ, საკვების დარად, მიღებული წამლებიც კუჭში დაახლოებით ორი საათის განმავლობაში რჩება. **ამიტომ, შემთხვევათა უმრავლესობაში მნიშვნელობა არა აქვს სხვადასხვა პრეპარატის მიღებისას 15-20, ან 30-წუთიანი ინტერვალის დაცვას.**

ამასთან, არსებობს ზოგადი წესები, რომელთა ცოდნა აუცილებელია. ფარმაცევტული ნიუანსებით რომ არ გადაგღალოთ, პატივცემულო მკითხველო, უბრალოდ აღვნიშნავთ, რომ ინსტრუქციებში აუცილებლად არის პუნქტი „წამლის ურთიერთქმედებანი“. თუკი თქვენ ამოიკითხავთ, რომ დანიშნულმა პრეპარატებმა შესაძლოა, ერთმანეთზე ზეგავლენა მოახდინონ, მაშინ ამაზე ყურადღება აუცილებლად მკურნალ ექიმს უნდა გაამახვილებინოთ, თვითნებურად გადაწყვეტილების მიღებას კი საჭიროა თავი აარიდოთ.

აუცილებლად უნდა გახსოვდეთ ისიც, რომ **ერთდროულად ხუთ პრეპარატზე მიღება საჭირო არ არის, ანდა, აუცილებლობის შემთხვევაში, მხოლოდ მკურნალი ექიმის დანიშნულების განუხრელად დაცვით.** ისიც გასათვალისწინებელია ისიც, რომ **რეკომენდებულია წამალზე წყლის დაყოლება.** ამდენად, სამკურნალო პრეპარატზე ჩაის, ყავის ან წვენის მიყოლებას თავი მოარიდეთ.

განსაკუთრებით საფრთხილოა ამ მხრივ გრეიფრუტის წვენი, რომლის ზოგიერთ, მათ შორის, ანტიბიოტიკებზე, გულის სამკურნალო პრეპარატებსა და წამლების კიდევ საკმაოდ ვრცელ ჩამონათვალზე დაყოლებას შესაძლოა, მოწამლვა მოჰყვეს. ასეთი არასასურველი ურთიერთობა შეიძლება მოხდეს გრეიფრუტის მიღებიდან 12 საათის შემდეგაც კი! რაც შეეხება ჩაის, იგი მდიდარია ტანინებით, რომლებსაც ბევრ წამალთან ურთიერთობის შედეგად უხსნადი შენაერთების წარმოშობა შეუძლია, რაც მკურნალობის ეფექტიანობას საგრძნობლად აქვეითებს. **უძილობის თავიდან ასარიდებლად კი არ არის რეკომენდებული მისი დამაწყნარებელ პრეპარატებთან ერთად მიღება.**

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ **ზოგიერთ სურსათს სამკურნალო პრეპარატების მოქმედების შეცვლა შეუძლია.** როგორც წესი, ცნობებს ამის შესახებ წამლების ინსტრუქციები შეიცავენ და მათი იგნორირება დაუშვებელია. ამასთან, ამჟამად ფართოდ იყენებენ ანტიკოაგულანტებს – პრეპარატებს, რომლებიც ხელს უშლიან ტრომბების წარმოშობას. ამიტომაც კარგი იქნება, თუ დაიმახსოვრებთ, რომ K ვიტამინის შემცველი სურსათი ამ ჯგუფის წამლების სრულიად საპირისპიროდ მოქმედებენ. ამიტომ, მათი მიღების დროს მინიმუმამდე უნდა შეამციროთ, ანდა, სულაც უარი თქვათ, ბრიუსელისა და ფერადი კომბოსტოს, ღვიძლის, სოიოს, ყაბაყისა და ნიგვზის მიღებაზე.

დალი ხუნდაძე

ანგინის გამკლავება

წლის ცივ დროში ანგინით დაავადება იშვიათობა ნამდვილად არ არის – ნაკლებად სავარაუდოა, რომ ვინმე ზრდასრულ ადამიანს ის ცხოვრებაში ერთხელ მაინც არ შეყროდეს. **აქედან გამომდინარე, ამ ავადმყოფობის მკურნალობა თითქოს ყველამ უნდა იცოდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ბევრ შეცდომას ვუშვებთ, რასაც ხშირად მეტად სახიფათო გართულებები მოჰყვება.**

ისე კი, უნდა ითქვას, რომ ანგინა საკმაოდ მძიმე ავადმყოფობაა. მისი სიმპტომებია: მაღალი ტემპერატურა – 38-39 გრადუსი, ყელის გაწითლება, ანთება და ტკივილი, რომლის გამოც ზოგჯერ ნერწყვის ყლაპვაც კი ჭირს. მკვეთრად გამოხატული ინტოქსიკაცია (ავადმყოფს აციებს, ოფლი წურწურით მოსდის). გარდა ამისა, გლანდებში ხდება სერიოზული, ხშირად შეუქცევადი ცვლილებები. ამის გამო ანგინა ხშირად მეორდება, ამის თავის არიდება კი მკურნალობის დროს შეცდომების დაუშვებლობაა.

პირველი შეცდომაა ანგინიანი ავადმყოფის სამსახურში (გნებავთ სასწავლებელში, საბავშვო ბაღში) წასვლა. ანგინა – ესაა მწვავე ინფექციური დაავადება, რომელიც საჰაეროწვეთოვანი გზით გადაიცემა, ამდენად, ავადმყოფი ადამიანი გარშემო მყოფთათვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს. გარდა ამისა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ანგინის დროს აუცილებელია წოლითი რეჟიმის მკაცრად დაცვა. თუკი ავადმყოფობის დროს თქვენ აქტიურად იმოძრავებთ, ორგანიზმს ბაქტერიებისთვის წინააღმდეგობის გასაწევად ნაკლები ძალა დარჩება და მიკრობებიც უფრო აქტიურად დაიწყებენ გამრავლებას, რის შედეგად ისინი სხვა ორგანოებში – გულში, თირკმლებში, სახსრებსა და სხვ. შეღწევას დაიწყებენ. ამას კი შემდგომ სერიოზული გართულებები მოჰყვება, მათ შორის, მიოკარდიტი და ენდიოკარდიტი (გულის კუნთისა და გულის შიდა გარსის ანთება), რევმატოიდური ართრიტი, ასევე თირკმლების ანთებითი დაავადებები. ამასთან, გახსოვდეთ, რომ თუკი გართულებებს თავს აარიდებთ, ფეხზე გადატანილი ანგინა ადვილად შეიძლება გადავიდეს ქრონიკულ ფორმაში.

მეორე შეცდომაა ანტიბიოტიკების მიღებაზე უარის თქმა, რომელთა მოხმარება შემთხვევათა 100 პროცენტში უნდა ხდებოდეს. ანგინა ყოველთვის ბაქტერიული ინფექციაა, ამიტომაც ანტიბიოტიკების გარეშე მისი მკურნალობა არ გამოვა. წამლების დოზირება კი ექიმმა უნდა განსაზღვროს.

მესამე შეცდომაა ოდნავი გაუმჯობესების შემდეგ ანტიბიოტიკების მიღების შეწყვეტა, როცა თავს უკეთ იგრძნობთ, ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ყველა ბაქტერია დაიხოცა, ამიტომაც ანტიბიოტიკების მოხმარების შეწყვეტისთანავე ისინი ისევ გამრავლებას დაიწყებენ და ავადმყოფობა შეგიბრუნდებათ.

მეოთხე შეცდომაა ყელის შალის შარფით შეხვევა – ამით თქვენ ანთებიან ყელთან სისხლის ნაკადის მომძლავრებას იწვევთ, რასაც, ბუნებრივია, უკუდენაც მოჰყვეს. ამიტომ, თუკი ანგინის დროს სითბური პროცედურებით გადავამლაშებთ (ამაში, სხვათა შორის, ცხელი კარტოფილის ორთქლის შესუნთქვაც შედის), შეიძლება ხუთვა განვითარდეს.

მეხუთე შეცდომაა თაფლისა და ჟოლოს მურაბით მკურნალობა, ვინაიდან შაქარი და სხვა ტკბილეულობა შესანიშნავი გარემოა ბაქტერიების გასამრავლებლად.

მეექვსე შეცდომა კი ანგინის მხოლოდ სავლებებით მკურნალობაა, თუმცა კი ამის შედეგად ავადმყოფი, ჩვეულებრივ, თავს უკეთ გრძნობს. მარილს და სოდას ასორბციული თვისებები აქვთ, მაგრამ ამას ანტიბიოტიკების მოხმარებაც უნდა დაემატოს.

ჰიპერტონიკის ანბანი



ევროპულ მედიცინაში არტერიული წნევის სამკურნალოდ ახალი ორიენტირები შემოიღეს, რის შედეგად მის დაწევას ექიმები ახლებურად დაიწყებენ.

„არტერიულ ჰიპერტონიაზე კონტროლის სახელმძღვანელოს“ ახალი რედაქცია წამყვან ევროპულ კარდიოლოგიურ ჟურნალში Europen Heart Journal-ში ახლახან გამოქვეყნდა. და სოლიდურ 98-გვერდიან დოკუმენტს წარმოადგენს. მასში აუარება საინტერესო ინფორმაციაა არა მარტო ექიმებისთვის, არამედ საქმეში ჩაუხედავი ადამიანებისთვისაც. ნაშრომი ჰიპერტონიით დაავადებულმა, სპეციალური განათლების არმქონე კაცმაც რომ წაიკითხოს, მასში ბევრ კითხვაზე პასუხს ამოიკითხავს, რომლებსაც პაციენტები ექიმებსა და ახლობლებს უსვამენ, თუმცა, სწორ პასუხს ყოველთვის ვერ იღებენ. ამდენად, გთავაზობთ ამ სახელმძღვანელო ნაშრომის ყველაზე მთავარ და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, პრაქტიკული სარგებლის მომტან ამონარიდს.

მნიშვნელოვანია, გვესმოდეს, რომ სიდიყის სვეტის 120/80-ზე წნევა – ესაა არტერიული წნევის (აწ) ნორმალური მაჩვენებელი. მაგრამ, **ოპტიმალური წნევა** – ამ ციფრებზე ოდნავ დაბალია. ამის მიზეზის ახსნა ასეთია: წნევა ათეროსკლეროზის განვითარების რისკს ზრდის. ყველაზე სამწუხარო გარემოება კი ის არის, რომ მსუბუქი ფორმით ეს უარყოფითი ზემოქმედება უკვე სისტოლური (ანუ ზედა) არტერიული წნევის (საწ) 115-იან ნიშნულზე იწყება. ზოგიერთი ადამიანი დაბალ წნევას ცუდად იტანს, მაგრამ **თუკი თქვენი არტერიული წნევის ზედა მაჩვენებელი სინდიყის 110-115 მილიმეტრია და ამ დროს პრობლემები (მაგალითად თავბრუსხვევა, სისუსტე და ა. შ.) არა გაქვთ, ეს ძალიან კარგია. ვინაიდან დროს ათეროსკლეროზისა და გულის დაავადებათა წარმოშობის რისკი მინიმალურია.**

მაგრამ, როგორ უნდა მოიქცეთ, თუკი წნევა, ვთქვათ, 160/95-ზეა? ქვედა დიასტოლური წნვით (ქდწ) თუ ვიმსჯელებთ, ესაა I სტადიის ჰიპერტონია, ხოლო თუ ზედას (ანუ საწ-ს) გავითვალისწინებთ, მაშინ გამოდის, რომ საქმე ჰიპერტონიის II სტადიასთან გვაქვს. მაშ, რა ღონისძიებებს უნდა მიმართოთ? ბოლოდროინდელი რეკომენდაციით, ამ დროს ჰიპერტონიის II სტადიაზე უნდა შევჩერდეთ, ვინაიდან **ყოველთვის საჭირაა უფრო მაღალი წნევის ვარიანტის შერჩევა.** იზოლირებული სისტოლური ჰიპერტონია – ესაა მხოლოდ საწ-ის მნიშვნელოვანი მომატება. ასეთი რამ ასაკოვან ხალხს ათეროკლეროზის გამო ემართება. მკურნალობა ამ დროს ყოველთვის საჭირო არ არის, ვინაიდან წნევის დაწევამ შესაძლოა თავის ტვინისთვის სისხლის მიწოდება გააუარესოს, რის შედეგად პაციენტს თავბრუსხვევა დაეწყოს და ინსულტის რისკიც გაიზარდოს.

არტერიულ წნევასთან დაკავშირებით არსებობს ასეთი სახის პრობლემაც: როგორ უნდა მოიქცეთ, როცა ექიმთან ვიზიტის დროს წნევა უფრო მაღალია, ხოლო როცა მას შინ თავად იზომავთ – შედარებით დაბალი? ამაზე მედიკოსები გვპასუხობენ, რომ, ჩვეულებრივ, ასეც უნდა იყოს: სისტოლური არტერიული წნევა, სახლთან შედარებით, ექიმთან სინდიყის სვეტის 5-15 მილიმეტრით უფრო მაღალია. ამიტომაც, **წნევის კონტროლისას თქვენ საორიენტაციოდ გაზომვების საკუთარი მნიშვნელობები უნდა გაითვალისწინოთ, ექიმი კი ორივეს იქონიებს მხედველობაში.**

ამას „თეთრი ხალათის ჰიპერტონია“ ეწოდება, ვინაიდან სავსებით შესაძლებელია, რომ პაციენტს ექიმზე სწორედ ასეთი რეაქცია ჰქონდეს. მსგავსი რამ პაციენტების 30-40 პროცენტს ემართება, უფრო ხშირად ეს ხანდაზმულ, ემოციურ ადამიანებს, ასევე მენოპაუზის დროს ქალებს მოსდით. ეს მდგომარეობა კონტროლს და ჰიპერტონიის აუცილებლად მკურნალობას საჭიროებს. დიაგნოსტიკისთვის კი კარგი იქნება წნევის დღე-ღამური მონიტორინგის ჩატარება.

ახლა განვიხილოთ შემთხვევა, როცა **ექიმთან გაზომვის დროს არტერიული წნევა ნორმალურია, შინ კი მომატებული. ესაა ეგრეთ წოდებული შენიღბული ჰიპერტონია.** იგი პაციენტთა დაახლოებით 15 პროცენტს აღენიშნება, მათ შორის უფრო ხშირად ახალგაზრდა, თამბაქოს მწეველ მამაკაცებს, რომლებსაც ქრონიკული სტრესის ან განგაშის მდგომარეობა აღენიშნებათ. პროგნროზისთვის ეს არაა მაინცდამაინც საასიკეთო ფაქტორი და ადრეულ მკურნალობას საჭიროებს. იმისათვის, რომ ეს გარემოება ყურადღების არედან არ გამოგრჩეთ, **წნევა მაქსიმალურად ხშირად გაიზომეთ და განსაკუთრებული ყურადღება შინ დადგენილ მაჩვენებლებს მიაქციეთ.**

არტერიულ წნევასთან დაკავშირებული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, თუ როგორ უნდა გავიზომოთ წნევა სწორად. საამისოდ, საჭიროა მანამდე 5 წუთის განმავლობაში დასვენება, სკამზე მოხერხებულად მოკალათება, ხელების მაგიდაზე დაწყობა, გასაზომის მოდუნება და ტონომეტრის მანჟეტის გულის დონეზე დამაგრება, გაზომვების ჩატარება უმჯობესია სამჯერ, 1-3 წუთის ინტერვალით. შედეგი კი ბოლო ორი გაზომვის საშუალო არითმეტიკულით უნდა განსაზღვროთ – იმ მომენტში თქვენი ნაღდი წნევაც სწორედ ის იქნება.

მოამზადა ოთარ ტურაბელიძემ

◎ ვაი, სირცხვილო!

თურქეთში 5 ქართველი ფეხბურთელი დააკავეს

თურქული მედიის ცნობით, შავიზღვისპირეთში ხუთი ქართველი ფეხბურთელი დააკავეს.

„ცხინვალის „სპარტაკის“ ხუთმა ფეხბურთელმა, სავარაუდოდ, ანტალიის სავაჭრო ცენტრში საქონელი მოიპარა. მიღებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს პირველი ლიგის გუნდი „ცხინვალი“ ბელეკში მოსამზადებლად ჩამოვიდა. მისი მოთამაშეები — გიორგი ბ, კახა კ, პაპუნა მ, დათა ს. და გურამ მ. კონიატის რაიონის სავაჭრო ცენტრს ესტუმრნენ და შემდეგ სასტუმროში დაბრუნდნენ. სავარაუდოდ, მაღაზიის დახურვის შემდეგ თანამდებობის პირებმა და კონტროლიორებმა აღმოაჩინეს, რომ ცხრა ერთეული საქონელი მოპარული იყო. სავაჭრო ცენტრში სათვალთვალო კამერების შემოწმებისას დადგინდა, რომ ქურდობა დაახლოებით 17 საათზე მოხდა. პოლიციამ იმავე პერიოდში დაწესებულებაში მყოფ კლიენტებზე გაამახვილა ყურადღება. აღმოჩნდა, რომ ეჭვმიტანილი ხუთი ადამიანი იყო. გიორგი ბ, კახა კ, პაპუნა მ, დათა ს. და გურამ მ. ბელეკის ხუთვარსკვლავიან სასტუმროში დააკავეს“, — წერს თურქული გამოცემა.

მისივე ცნობით, დაკავებულებს ჯანმრთელობის მდგომარეობის შემოწმების შემდეგ სასამართლოს წარუდგენენ.

* * *

თურქეთში საქართველოს საკონსულოს ცნობით, დაკავებული ქართველი ფეხბურთელები, სავარაუდოდ, იმავე დღესვე სასამართლო დარბაზიდანვე, გუსვლელობაზე ხელის მოწერის საფუძველზე გაათავისუფლეს.

„თარჯიმნის პრობლემა იყო და ამ ეტაპზე ყველაფერი გარკვეული არ გვაქვს, თუმცა კონსული ჩართულია ამ საკითხში. ამ ეტაპზე ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, ფეხბურთელები პატიმრობაში არ დატოვეს და სასამართლომ გაუსვლელობის გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა, დანარჩენი დეტალები ამ დროისთვის უცნობია, მათ შორის ის, თუ როდემდეა ქვეყნიდან გაუსვლელობა, როდის გაიმართება სასამართლო სხდომა და ა.შ. დაზუსტებით ყველაფერს ვარკვევთ და მოგვიანებით საგარეო საქმეთა სამინისტრო გაავრცელებს ინფორმაციას“, — აცხადებენ საკონსულოში.

* * *

საფეხბურთო კლუბ ცხინვალის „სპარტაკის“ პრეზიდენტი თურქეთში ხუთი ფეხბურთელის დაკავებასთან დაკავშირებულ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს.

ქართლოს რუხაიას ინფორმაციით, ფეხბურთელები თურქეთის საგამოძიებო უწყებაში მხოლოდ დაიკითხნენ, რადგან მაღაზიაში გაუგებრობას ჰქონდა ადგილი.

„მე პირადად თურქეთში არ ვიმყოფები, მაგრამ დეტალურად ვიცი რა მოხდა. გავრცელდა ძალიან არასწორი ინფორმაცია. არც ერთი ფეხბურთელი არ დაუკავებიათ, უბრალოდ მოხდა გაუგებრობა, ფეხბურთელებმა შეიძინეს საქონელი და ჩეკთან დაკავშირებით რატომღაც არ მოხდა საქონლის გატარება თვითონ კონკრეტულ მაღაზიაში. საბედნიეროდ, ყველა ფეხბურთელს თან ჰქონდა შეძენილი საქონლის ჩეკი. მხოლოდ დაიკითხნენ და გაირკვა, რომ გაუგებრობა იყო. ყველა აღნიშნული ფეხბურთელი იმყოფება გუნდთან ერთად და აგრძელებს ვარჯიშს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მოხდა მხოლოდ დაკითხვა და არავითარი დაკავება. იყო გაუგებრობა და ამით დამთავრდა ყველაფერი. გუნდი ჩვეულებრივად აგრძელებს მომზადებას“, — აცხადებს რუხაია.

ვითომ?

* * *

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია თურქეთის ქალაქ ანტალიაში მომხდარ ინციდენტს ეხმიანება და განცხადებას ავრცელებს, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„გვსურს, გამოვეხმაუროთ ქართულ და თურქულ მედიაში გავრცელებულ ინფორმაციას, რომლის თანახმად ქალაქ ანტალიის სავაჭრო ცენტრში ქურდობისათვის დააკავეს კურორტზე სპორტულ შეკრებაზე მყოფი ქართული საფეხბურთო კლუბის — ცხინვალის „სპარტაკის“ ფეხბურთელები.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია — ფეხბურთის მმართველი ორგანო საქართველოში, რომლის ერთ-ერთი მთავარი ფუნქციაა, არ დაუშვას ქართული ფეხბურთის იმიჯის შელახვა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო მასშტაბით, მოუწოდებს საფეხბურთო კლუბ „სპარტაკს“, აღნიშნული ინფორმაციის დადასტურების შემთხვევაში, მისი უფლებამოსილების ფარგლებში, მიიღოს შესაბამისი ზომები კანონდამრღვევ პირებთან დაკავშირებით.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია გმობს ყველა იმ ქმედებას, რომელიც ჩადენილია კანონსაწინააღმდეგოდ და ნეგატიურად აისახება არა მხოლოდ ქართული ფეხბურთის, არამედ ქვეყნის რეპუტაციაზე“, — ნათქვამია განცხადებაში.

კობა კობახიძე

იაპონიაში ძიუდოისტთა ნაკრების მწვრთნელი ირაკლი ცირეკიძე „გაჭედეს“

იაპონიის ქალაქ ოსაკაში საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების მწვრთნელი ირაკლი ცირეკიძე დააკავეს, თუმცა, ის ამჟამად პატიმრობიდან გათავისუფლებულია. ინფორმაციას ადასტურებენ საგარეო საქმეთა სამინისტროში.

„იაპონიში საქართველოს საელჩოში ქ. ოსაკის სამართალდამცავი უწყებების მხრიდან შევიდა შეტყობინება საქართველოს მოქალაქის დაკავების შესახებ. საქართველოს საელჩო კომუნიკაციაში იმყოფება როგორც აღნიშნულ საქართველოს მოქალაქესთან, ისე ადგილობრივ სამართალდამცავ უწყებებთან. ამ ეტაპზე საქართველოს მოქალაქე გათავისუფლებულია და აღნიშნულ ფაქტზე მიმდინარეობს გამოძიება“ — ნათქვამია ინფორმაციაში.

ჯერჯერობით უცნობია, რატომ დააკავეს ცირეკიძე. ის ოსაკაში საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრების შეკრებაზე იმყოფება.

ვიტალი ჯაფარიძე.

◎ 64

გასაოცარ ჩანაფიქრთა დიდოსტატი



რიხარდ რეტი (1889-1929), დიდოსტატი, თეორეტიკოსი, საჭადრაკო კომპოზიტორი და ლიტერატორი. დიდი წვლილი შეიტანა ნახევრადდახურული დებიუტების დამუშავებაში, თეორიულად დაასაბუთა ახალი სადებიუტო სისტემა, რომელიც რეტის სახელითაა ცნობილი („რეტის დებიუტი“).

პირველ წარმატებებს ვენაში მიაღწია (1909-1910), სადაც ადგილობრივი მეცენატის — ტრებიჩის სახელობის საერთაშორისო ტურნირში გაიმარჯვა.

ვაუთა პირველ მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე (1927) თამაშობდა ჩეხოსლოვაკიის ნაკრების I დაფაზე.

სან-პაულუში (1925) რეტიმ თავისებური მსოფლიო რეკორდი დაამყარა — დაფაზე დაუხედავად ეთამაშა 29 კვალიფიციურ მოჭადრაკეს, რომელთაგან 20 მოიგო, 7 ყაიმით დაასრულა და მხოლოდ 2 წააგო.

ვინ არ აღფრთოვანებულა რეტის პაიკების ეტიუდით, რომელშიც ამაყ მარტოობაში მყოფი თეთრი მეფე დაფის უკიდურეს უჯრაზე იმყოფება, წინ გაჭრილი დედოფლისაკენ დაძრულ პაიკს სასწაულებრივი სისწრაფით დაედევნება და გადაარჩენს პარტიას. პოზიცია უბრალო და ადვილად დასამახსოვრებელია. სწორედ ამ უბრალოებაშია კომპოზიციის მომხიბვლელობა და მისი ლოგიკური გენიალობა **(თ.შ.)**.

ცნობილი ეტიუდის მიხედვით „თუ ორ კურდღელს გაედევნები — ერთს დაიჭერ“.

არაორდინარული სვლებით რეტი განაცვიფრებდა მეტოქეებს: ამის დადასტურებაა ლეგენდარულ კაპაბლანკასთან მოგებული პარტია (1924, ნიუ-იორკი).

ალექსანდრ ალიოხინმა რიხარდ რეტი შეუდარებელ დიდოსტატად აღიარა, რომელსაც განცვიფრებაში მოჰყავდა იგი თვითმყოფადი რეტისეული ჩანაფიქრებით.

1921 წ.



1...h5 2.მ3g7 h4 3.მ3f6 h3 4.მ3e6h2 5.c7მ3b7 6.მ3d7 h1ლ 7.c8ლ+ -ყაიმი

1928 წ.



1.მ3e7 g5 2.მ3d6g4 3.e7კb5 4.მ3c5 კe8 5.მ3d4 მ3b7 6.მ3e4 მ3c7 7.მ3f4კh5 8.e8ლ- ყაიმი

1928 წ.



1. e6 ge1 2.ae5-ოკაბლანკა ეძინ
1... ga1 2.e7 ga8 3.a b6;
1... a3d4 2.ae5! ga1 3.e7 ga8 4. a5f7 ge8 5. ad6;
1... a3f4 2.e7 ge1 3. a5f6-მოგება

შენიშვნა: **რიხარდ რეტის ეტიუდებს არა მარტო ესთეტიკური, არამედ პრაქტიკული მნიშვნელობებიც გააჩნიათ!**

მოამზადა თამაზ შენგელიამ.

◎ აკრძალვა არ მოქმედებს

პოლიეთილენის პარკებს ბაზარი მიაქვს

დაახლოებით თვენახევარია, რაც მთელი ქვეყნის მასშტაბით თხელი პლასტიკის პარკების გამოყენება აიკრძალა. მიუხედავად ამისა, მისი მოხმარება ისევ გრძელდება. სავაჭრო ობიექტებში ისევ გამოჩნდა სიფრიფანა ცელოფნები, ხოლო ბაზრობებიდან არც არასდროს გამქრალა.

პლასტიკის პარკების ახალი რეგულაციის მიხედვით, იანვრიდან 15 მიკრონზე ნაკლები სისქის პლასტიკის პარკების გამოყენება აიკრძალა. ახალი რეგულაციის ამოქმედების შემდეგ თბილისსა და ბათუმში ორი საწარმო შემოწმდა.

საწარმოებში პარკის სისქის გადაჭარბება არ დაფიქსირებულა, ორივე შემთხვევაში დარღვევა ნიშანდების წესის შეუსრულებლობა იყო. ზედამხედველობის დეპარტამენტის ინფორმაციით, პარკების კონფისკაცია განხორციელდა. ამჟამად კი საქმის მასალები გადაგზავნილია შესაბამის რაიონულ სასამართლოებში, თუმცა პროცესები ჯერ არ გამართულა. უწყების ცნობით, პარკების მწარმოებლების შემოწმება მთელი წლის განმავლობაში გაგრძელდება.

ეს არის ოფიციალური ინფორმაცია, მაგრამ რეალურად თხელი ცელოფნის პარკები ძალიან ბევრგან გამოიყენება. ბაზრებსა და ბაზრობებზე ის კვლავინდებურად მოხმარებაშია, მაგრამ ხშირად მას სავაჭრო ობიექტები და კომპანიებიც კი იყენებენ. ამისთვის ბიზნესი ერთმანეთს ადანაშაულებს.

შპს „ავანგარდის“ დირექტორი გიორგი გარიშვილი აცხადებს, რომ პლასტიკის პარკების რეგულაციის ახალი წესების ამოქმედების შემდეგ რამდენიმე კომპანია კანონის დარღვევით ამზადებს პოლიეთილენის პარკებს და კომპანიები, რომლებიც ყველა ნორმას იცავენ, არასამართლიან პირობებში იმყოფებიან.

„ამ ეტაპზე არის ქარხნები, რომლებიც ძველებურად ამზადებენ პარკს, ვერანაირ მოთხოვნებს ვერ აკმაყოფილებს მათი პროდუქცია და რეგულაცია აბსოლუტურად დარღვეულია. თუ შეიძლება არსებული მასალით დაამზადო 100 ტონა, ახალი დანადგარის გამოყენებით ხარჯი მეტია და 80 ტონას ამზადებ, როცა რეგულაციას იცავ, ხარჯიც მეტია. მიუხედავად ამისა, ბაზარზე მაინც არის თხელი პარკი, რომელიც არ არის 15 მიკრონის სისქის“, — აცხადებს გარიშვილი.

მისივე თქმით, ახალი პარკი მინიმუმ 15 მიკრონის სისქის უნდა იყოს და ამაზე ინფორმაცია პარკზე უნდა იყოს განთავსებული იმისათვის, რომ რეგულაცია არ დაირღვეს.

„დაგვჭირდა ახალი დანადგარი, რომელიც პარკს ეტიკეტს აკრავს, სადაც ინფორმაციაა განთავსებული, რომ ნამდვილად 15 მიკრონის სისქისაა პარკი. რეგულაციის შემდეგ პარკის სისქე საგრძნობლადაა გაზრდილი“, — განუცხადა „ბიზნეს მედიას“ გარიშვილმა.

ბაზარზე ამჟამად არასამართლიანი პირობებია. ძალიან ბევრგან ძველებურად იყენებენ თხელ პარკებს. ამაში შემჩნეულნი არიან სავაჭრო ობიექტები.

„პირველად, როდესაც ეს თვალში მომხვდა, იყო სავაჭრო ქსელი „უნივერსამი“, სადაც ორივენაირი პარკი ვნახე. ნაწილი აკმაყოფილებდა რეგულაციას, ნაწილი — არა.

რა იქნება დაახლოებით ერთ თვეში არავინ იცის. საქმე ისაა, რომ 2019 წლის პირველი აპრილიდან ნებისმიერი სისქის პლასტიკის პარკების წარმოება აიკრძალება. მისი ჩანაცვლების მცდელობა ჯერჯერობით ბაზარს არ ეტყობა.

ბექა დანელია

სანთელი

შვილები მაია, დევი ხეჩინაშვილები, სიძე რეზო შანიძე, შვილიშვილები ირინე ხეჩინაშვილი, ნინო, სანდრო შანიძეები იუწყებიან

ლალი მიქელაძის

გარდაცვალებას.

დაკრძალვა: შაბათს, 23 თებერვალს, 14 საათზე, გამოსვენება დიდუბის ეკლესიიდან.

ლუდმილა, საშა რომანოვები, ნატაშა, ვადიმ სტეპანოვები, გიული ურუშაძე, ნათელა ლაღიძე, ნათელა თენეიშვილი, ნანა კეცხოველი ოჯახებით თანაუგრძნობენ მაია და დევი ხეჩინაშვილებს დედის

ლალი მიქელაძის

გარდაცვალების გამო.

პატრიარქის 23 წლის სტიქაროსანი გარდაიცვალა!

22 თებერვალს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ მღვდელმთავრებთან და სამღვდელოებასთან ერთად ახლადგარდაცვლილი 23 წლის ლევან ბორტიშვილისთვის სიონის ტაძარში პანაშვიდი გადაიხადა. ლევანი წლების განმავლობაში პატრიარქის მთავარი სტიქაროსანი იყო.

„ლევანი, როგორც ანგელოზი, გაგვიფრინდა და გახდა ზეციური სამყაროს, ზეციური საქართველოს მკვიდრი.

შევთხოვთ უფალს, დააწესოს მისი უკვდავი სული, სადაც წმინდანნი და მართალნი განისვენებენ.

მე თანაგრძნობას ვუცხადებ მშობლებს, ახლობლებს. ლევანის წასვლა ეს ღვთის განგებაა. ღმერთს უფრო მეტად ჰყვარებია იგი, ვიდრე ჩვენ. დღეს მის ცხედარს მივაბარებთ ჩვენს მიწას და იმედია, მისი სული ლოცვებს აღავლენს საქართველოს მშვიდობისა და ეკლესიის კეთილდღეობისთვის“, — განაცხადა პატრიარქმა.

ცოლ-ქმრის მკვლელობის საქმეში ბრალდებულს 18 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და ცოლ-ქმრის მკვლელობის საქმეში ბრალდებული დ.შ. დამნაშავედ ცნო.



სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ დ.შ.-ს 2017 წლის 9 აპრილს, გალის რაიონის სოფელ სიდაში, წარსულში არსებული უთანხმოების მიზეზით ურთიერთშელაპარაკება მოუვიდა გ.წ.-სა და მის მეუღლე — ს.შ.-სთან. აღნიშნულით განაწყენებული დ.შ. იმავე დღეს, შურისძიების მოტივით, განზრახ მოკვლის მიზნით ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული, ცოლ-ქმრის საცხოვრებელ სახლში მივიდა და მათ რამდენიმე გასროლით სასიკვდილო ჭრილობები მიაყენა, რის შედეგად გ.წ. ადგილზე, ხოლო ს.შ. საავადმყოფოში მიყვანამდე, გზაში გარდაიცვალა. დ.შ. შემთხვევის ადგილიდან მიიმალა, მოგვიანებით კი უკანონოდ გადაკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი. დ.შ.-ს დაკავება სომხეთის რესპუბლიკაში მოხდა. მისი საქართველოში ექსტრადირება 2018 წლის 17 ოქტომბერს განხორციელდა. თბილისის საქალაქო სასამართლომ დ.შ. სრულად ცნო დამნაშავედ ჩადენილ დანაშაულში და სასჯელის სახედ და ზომად 18 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა.

ბათუმის ბულვარში 30 წლამდე კაცმა თავი ჩამოიხრჩო

ბათუმში, რესტორან „სანრემოს“ მიმდებარე ტერიტორიაზე 30 წლამდე ასაკის ახალგაზრდამ, სავარაუდოდ, თავი ჩამოიხრჩო. ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის ინფორმაციით, ადგილზე მისულ ბრიგადას ბიჭი გარდაცვლილი დახვდა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

იმერეთის პოლიციამ უკანონო იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღო

შინაგან საქმეთა სამინისტროს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის ხარაგაულის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, 1972 წელს დაბადებული კ. ხ. და 1955 წელს დაბადებული ფ. ხ. ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით დააკავეს.

სამართალდამცველებმა, კ.ხ.-ს საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, არარეგისტრირებული იარაღი — კარაბინი, პისტოლეტი, ორლულიანი სანადირო თოფი და 50 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს. ფ.. ხ.-ს საცხოვრებელი სახლის და ეზოში მდებარე დამხმარე სათავსოს ჩხრეკისას კი ნივთმტკიცებად ამოღებულია სხვადასხვა კალიბრის 1601 საბრძოლო ვაზნა. გამოძიება ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ფაქტზე, სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის მე-3 ნაწილით მიმდინარეობს.



დემონტაჟის ნაცვლად კულტურულ ძეგლს სართული დააშენეს

ბათუმში, მემედ აბაშიძის 9 ნომერში, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლში მცხოვრებმა ოჯახმა, სახლზე ლითონის კონსტრუქცია უნებართვოდ მოაწყო.

2018 წლის 13 ნოემბერს, დაშენება აჭარის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მონიტორინგის სამსახურმა აღმოაჩინა. სამართალდარღვევაზე წერილობით ოჯახი და ამხანაგობა გააფრთხილა, უწყებამ უკანონო დაშენების დემონტაჟისთვის მესაკუთრეებს 5 დღე მისცა. რამდენიმე დღეში, მემედ აბაშიძის ამ ნომერში მცხოვრებმა ციალა ბეჟანიძემ კულტმემკვიდრეობის სააგენტოს წერილობით თხოვა, რომ ნაცვლად 5 დღისა, დემონტაჟისთვის 15 დღე მიეცათ. 15 დღეში, სახურავზე მოწყობილი ლითონის კონსტრუქციის დემონტაჟის ნაცვლად, სააგენტოს თანამშრომლებს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე დაშენებული მანსარდა დახვდათ.

ავტომობილებიდან სხვადასხვა ნივთებს იპარავდა!

„შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის ძველი თბილისის სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად ავტომობილების გაქურდვის ბრალდებით, 1990 წელს დაბადებული მ.ა. დააკავეს. დანაშაული 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ დაკავებულმა მიმდინარე წლის თებერვალში თბილისში, მ. ჯავახიშვილის და ლ. ქიაჩელის ქუჩებზე, მოქალაქეების კუთვნილი ავტომობილებიდან სამშენებლო ხელსაწყოები, სათხილამურო ფეხსაცმელი და სუვენირები მოიპარა. სამართალდამცველებმა, ბრალდებულის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ნაქურდალი ნივთები ნივთმტკიცების სახით ამოიღეს.

უძღები შვილის კვირიაკე

24 თებერვალს საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია იხსენიებს უძღებ შვილს – ეს არის ხორციელის წინა კვირიაკე.

ყველასათვის ცნობილია, რომ ამ დღეს იკითხება სახარების იგავი უძღები შვილის შესახებ, მისი აზრი ისაა, რომ ცოდვილის სინანული და ქრისტეს სამწყოსში დაბრუნება არის „დიდი სიხარული ცათა შინა“.

...ერთ კაცს ჰყავდა ორი ძე. უმცროსმა შვილმა უთხრა მამას, გამოეყო მისთვის თავისი წილი ქონება. უმცროსი შვილი შორეულ მხარეს გაემგზავრა და იქ გაფლანგა მთელი თავისი ავლადიდება... მას იქ ძალიან გაუჭირდა ცხოვრება. ნატრობდა, ნეტავ მამაჩემის მოჯამაგირეების მსგავსად მქონდეს საჭმელიო. ადგა და მამამისისკენ გასწია. მან შორიდან დაინახა შვილი და ძალიან შეებრალა ის. შვილი კისერზე შემოეჭდო მამამისს... ის კოცნიდა მამას და ეხვეწებოდა: „...ვცოდე, მამა, ცის მიმართ და შენს წინაშე, არღარა ვარ ღირსი, შენი ძე მერქვას“.

საგულისხმოა ისიც, რომ მამამ თავის მონებს უბრძანა, მოეტანათ უკეთესი შესამოსელი, გაეკეთებინათ მისთვის ბეჭედი ხელზე, მოეყვანათ ნასუქი ხბო, დაეკლათ, ეჭამათ და ემხიარულათ. აღსანიშნავია ისიც, რომ უფროსი შვილი შემოესწრო ამ მხიარულებას, მან გაიკვირვა და მამას არ მოეწონა საქციელი. მამამ კი მიუგო: „შვილო, შენ ჩემთან იყავი და ყველაფერი შენია. ხოლო, რადგან შენი ძმა ცოცხალი მოვიდა, ახლა გვმართებს ვიმხიარულოთ“.

გიული ლიპარტია

მსოფლიოში უდიდესი...

ორ კვირაში სტამბოლში ჩამლიჯას მეჩეთი გაიხსნება, რომელიც მსოფლიოს მასშტაბით ყველაზე დიდი რელიგიური კომპლექსი იქნება. იგი ერთდროულად 60 ათას მორწმუნეზეა გათვლილი. მეჩეთი 6 წლის განმავლობაში შენდებოდა და მისი გახსნა დაახლოებით 10-14 დღეში მოხდება.



სიწმინდის გახსნის ზუსტი დღე ამ დროისათვის ცნობილი არ არის, რადგანაც ეს დამოკიდებულია ქვეყნის პრეზიდენტის გადაწყვეტილებაზე, რომელიც მეჩეთის გახსნას უნდა დაესწროს. იგი 15 ათას კვ/მ-ზეა გადაჭიმული და ექვსი მინარეთიდან ოთხი 107 მეტრის სიმაღლისაა, ხოლო ორი – 90 მეტრის.

წარმატებულ ბიზნესმენებო, გონიერო ქველმოქმედნო, მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით!

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

კორეა ურობოტოდ?

თურქულმა არქიტექტურულმა კომპანია Melike Altinisik Architects-მა (MAA) სეულის მთავრობის მიერ გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა, რომელიც რობოტული ტექნოლოგიების მუზეუმის მშენებლობას ითვალისწინებს.

Design Boom-ზე პროექტის კონცეპტუალური დიზაინი უკვე გამოქვეყნებულია. როგორც ირკვევა, მუზეუმის აგება 2022 წლისთვის უნდა დასრულდეს და მის მშენებლობაზე ადამიანურ რესურსთან ერთად გამოყენებული იქნებიან ასევე რობოტები. მუზეუმი მთლიანობაში 6.5 ათას კვ.მ-ზე იქნება გადაჭიმული.

ასეც ჩნდება...

სერბეთის პრემიერს ანა ბრნაბიჩსა და მის პარტნიორ ქალს მილიჩა ჯურჯიჩს, რომელთანაც ის არაოფიციალურ ერთნაირსქესიანთა ქორწინებაშია, ვაჟი შეეძინათ. გავრცელებული ინფორმაციით, დედა და შვილი, რომელსაც იგორი დაარქვეს, თავს კარგად გრძნობენ. მილიჩა ჯურჯიჩი პროფესიით ექიმია და მან შვილი ხელოვნური განაყოფიერებით გააჩინა.

სერბეთი ერთადერთი ბალკანური ქვეყანაა, სადაც მთავრობის 43 წლის ხელმძღვანელი ღია ლესბოსელია. მას განათლება აშშ-ის მიჩიგანისა და დიდი ბრიტანეთის ჰალის უნივერსიტეტებში აქვს მიღებული. საჯარო ადმინისტრირებისა და ადგილობრივი თვითმმართველობების მინისტრის პოსტზე ის 2016 წლის აგვისტოში დაინიშნა, სერბეთის პრემიერ-მინისტრად კი 2017 წლის ივნისში აირჩიეს. ეს პირველი შემთხვევაა მსოფლიოში, როდესაც მთავრობის ლიდერს მმართველობის პერიოდში გეი პარტნიორთან შვილი ეყოლა.

საუკუნეც მოუკვლავს

გალაპაგოსისკუნძულებზე გიგანტური კუ იპოვეს, რომელიც 100 წლის განმავლობაში მკვდარი ეგონათ. იგი Chelonoidis phantasticus ექსპედიციის წევრებმა იპოვეს. აღნიშნული სახეობის კუ მხოლოდ ფერნანდინას კუნძულზე ცხოვრობს და ის ბოლოჯერ მკვლევარებმა 1906 წელს ნახეს.

გალაპაგოსზე 11 სახეობის კუ ცხოვრობს, აღნიშნული კუნძულების სახელი insulae de los galopegos ესპანურად კუების მიწას ნიშნავს.

რიბეირო წინააღმდეგია

ლამაზთა შორის უმშვენიერეს ბრაზილიელ მოდელს ლაის რიბეიროს გათხოვილი ქალის სტატუსი ცხოვრებაში სულ ერთხელ ჰქონდა და ისიც 15 წლის წინათ, როდესაც თანამეცხედრედ ცნობილი კალათბურთელი ჯარედ ჰომინი აირჩია და მასთანაც სულ ოთხწლიან თანაყოფას ერთი შვილით გამორჩა.

ამის შემდეგ ლაის რიბეირო არასოდეს გათხოვილა და დღენიადაგ აცხადებს, რომ აღარ აპირებს მეორედ მსგავსი შეცდომის დაშვებას. რიბეიროს აზრით, ქორწინება საზოგადოების მიერ თავსმოხვეული ტრადიციების ნაწილია და მისი ერთადერთი დადებითი მხარე შვილის ყოლაა.

ლაის რიბეიროსა და ჯარედ ჰომინის ვაჟიშვილი, რომელიც ამ ქვეყანას 2008 წელს მოევლინა, დღეს უკვე 11 წლისაა და რა გასაკვირია, რომ მამის კვალად კალათბურთეელობაზე ოცნებობს. ბიჭუნა ლაისთან იზრდება, თუმცა, ბრაზილიიდან ამერიკაში მამასთან ხშირად ჩადის და კალათბურთის უზომო სიყვარულიც, რასაკვირველია, მამისგან გამოჰყვა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, წაიკითხე, ისიამოვნე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6570; ევრო - 3.0128;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4714
100 რუბლი - 4.0560; თურქული ლირა - 0.4994;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5676;
1000 სომხური დრამი - 5.4447.

ამინდი 23 თებერვლისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	0,	დღე	+13
მთიანი რაიონები -	ღამე	-8,	დღე	+11
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+2,	დღე	+18
მთიანი რაიონები -	ღამე	-5,	დღე	+14
თბილისი:	ღამე	+1,	დღე	+14

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge